# სპორტიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 23 მარტი 2001 №51 (1324) | ფასი 50 თეთრი




ზურაბ [illegible] ფოტო

გუშინ მცხეთაში: თსუ — სიონი. ბოლნისელი გელა გაბისონიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დავით მამარდაშვილმა (№25) მოიგერია

**საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე**

## 22 ტური

22 მარტი, ხუთშაბათი

| | | |
|---|---|---|
| დილა | 1 | |
| კოლხეთი | 0 | |
| თსუ | 0 | |
| სიონი | 0 | |
| გორდა | 1 | |
| დინამო | 2 | |
| იბერია | 0 | |
| ბათუმი | 5 | |
| მერანი — ლოკომოტივი | | 31 მარტს |
| ვიტ ჯორჯია — ტორპედო | | 31 მარტს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 40:7 | 53 |
| დინამო | 22 | 15 | 3 | 4 | 52:20 | 48 |
| ტორპედო | 21 | 14 | 5 | 2 | 33:7 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 7 | 4 | 29:15 | 37 |
| მერანი | 21 | 8 | 8 | 5 | 22:20 | 32 |
| კოლხეთი | 22 | 8 | 7 | 7 | 22:18 | 31 |
| ბათუმი | 22 | 8 | 4 | 10 | 34:29 | 28 |
| სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 17:28 | 26 |
| თსუ | 22 | 5 | 4 | 13 | 19:37 | 19 |
| გორდა | 22 | 3 | 9 | 10 | 16:29 | 18 |
| დილა | 22 | 5 | 3 | 14 | 14:44 | 18 |
| იბერია | 22 | 0 | 3 | 19 | 3:47 | 3 |

# საქართველოს ნაკრებს კაცით მოაკლდა და თამაშით

**გერმანულ** დაბა ჰენეფში შეკრებილი საქართველოს ეროვნული გუნდი დღეიდან კაცნაკლული განაგრძობს რუმინელებთან სათამაშოდ მზადებას.

— ზურაბ მენთეშაშვილს ტვინის შერყევის ნიშნები აქვს და, ალბათ, ხვალიდან მას შეკრებიდან გავათავისუფლებთ — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელიც გუშინ ჰენეფში გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ერთად შვეიცარიიდან ჩავიდა.

ნაკრები ამხანაგური მატჩის გარეშეც დარჩა. ჩვენებურებს დაგეგმილი ჰქონდათ, 23 ან 24 მარტს გერმანიის რეგიონალლიგის რომელიმე გუნდს შეხვედროდნენ, მაგრამ, ჰენეფს ჩასულებმა გადაიფიქრეს — დღეს მწვრთნელები გუნდს ორად გაყოფენ და ისე ათამაშებენ.

— ჰენეფში საათნახევრის წინ ჩამოვედით და ნაკრების მწვრთნელებს უკვე ვესაუბრეთ. განწყობა ოპტიმისტურია, ბოჭუაშვილი და ყიფიანი ფეხბურთელთა მომზადების დონით კმაყოფილები არიან. ყველა კარგ ხასიათზეა. ხვალ ან ზეგ ვითათბირებთ, რა თქმა უნდა, რუმინელებთან მატჩზე ვიმსჯელებთ. მგონი, კარგი ვქენით, ნაკრების მომზადება გერმანიაში რომ გადავწყვიტეთ — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ.

პრეზიდენტისა და გენმდივნის უეფაში ვიზიტის თაობაზე კი ჟორდანიამ ეს თქვა, ჯერ რუმინელებთან ვითამაშოთ და ამაზე მერე, პრესკონფერენციაზე ვილაპარაკოთო.

**ჰოზა ინასარიძე**

# მსაჯო, შე მიწადასაყრელო!

*მართლაც ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიც ევროპაში თითით საჩვენებელი შეჯიბრებაა. აბა, უნიჭო კაცი მოიფიქრებს იმას, რაც გუშინ ერთ გორელ ქომაგს მოუვიდა თავში, ანდა რომელი ქვეყნის ჩემპიონატში მოხდება ასეთი ამბავი?*

*მიწა იყავ და მიწად იქეცო, მიაძახა ალბათ, „დილას" ზემოხსენებულმა ქომაგმა ჭიათურელ თანამსაჯ ჯუმბერ ბუიშვილს და კარგა მოზრდილი ბელტის თავში გარტყმით ქართლის მიწას ჩაახუტა. ამის მერე იყო, გორელებმა ფოთელებს გოლი რომ გაუტანეს და წლეულს პირველი გამარჯვებაც იზეიმეს.*


22-ე ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე


# ექვსი ერის ფანჯრიდან შოტლანდიამ საქართველოც დაინახა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ბოლოდროინდელმა წინსვლამ არა მხოლოდ გამარჯვებები და ქულები, არამედ საერთაშორისო აღიარება და დაფასებაც მოიტანა. ისეთი, როგორიც თუნდაც ორიოდ წლის წინ წარმოუდგენელი იყო.

ბრიტანეთში მძვინვარე თურქულის ეპიდემიამ ექვსი ერის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გადადო და გათამაშების კალენდარში ფანჯარა გააჩინა. შოტლანდიის ნაკრებმა მისი შევსება რომელიმე ევროპულ გუნდთან ამხანაგურად გაჯიბრებით გადაწყვიტა. სკოტებმა სავარაუდო კანდიდატებიც დაასახელეს: რუმინეთი, საქართველო, ესპანეთი.

ის, რომ მსოფლიო რაგბის ერთ-ერთმა გრანდმა ბორჯღალოსნებთან ამხანაგური მეტოქეობა მოინადინა, დაგვეთანხმებით, ერთობ მნიშვნელოვანია...


იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი






შეხვდებიან ერთმანეთს სანაკრებო დონეზე ფრანგულ „კასტრში" თანაგუნდელები, ქართველი პალიკო ჯიმშელაძე (მარცხნივ) და შოტლანდიელი გრეგორ თაუნსენდი?

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# 22 ტური



ბოლნისელებმა კახა სიდამონიძემ და დავით სოლოღაშვილმა სტუდენტი ერეკლე მერებაშვილი მოიმწყვდიეს

# მამარდაშვილი სიონთან სუფთაა

ბოლნისი
22 მარტი
15 საათი
„სიონი"
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:0 სიონი**

ისიანმა ვერ გაიტანა პენალტი (53, [illegible])
**თსუ:** მამარდაშვილი, [illegible]
**სათადარიგონი:** [illegible]
**სიონი:** [illegible]
**სათადარიგონი:** [illegible]
**გაფრთხილება:** [illegible] (60), [illegible] (64), გვაზავა (85), ისიანი (85), [illegible] (88)
**მსაჯები:** [illegible]
**სფფ-ის ინსპექტორი:** [illegible]

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

**ზუსტად** არ მახსოვს, როგორ იყო ადრე, მაგრამ ბოლო ორი წელია, მეკარე დავით მამარდაშვილი მცხეთასა თუ ბოლნისში ერთნაირად აშწარებს „სიონს". ასე იყო, როცა მამარდაშვილი „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა, თსუ-ში გადაბარგების შემდეგ ხომ მთლად მოუთავა ხელი „თემურ სტეფანიას" ბინადართ.

პირველ წრეში მამარდაშვილმა ლამის მარტომ დაამარცხა ბოლნისელები. გუშინ თსუ-ს მიერ მოპოვებული ქულაც მისი დამსახურებაა.

მასპინძელთა მეკარე მთლად უშეცდომო არ ყოფილა. მამარდაშვილს ჰქონდა მცირე ხარვეზები, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში შესაშურად საიმედოდ ირჯებოდა.

„სიონმა" საკმარისზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა. გოლის გატანა შეეძლო გაბისონიას, მაგრამ ახლოდან მისი თავური მეკარემ მოიგერია. ეს მატჩის დასაწყისში იყო. მერე დავითაშვილმა [illegible] ... [illegible]

სტუმრებმა მომენტი კიდევ შექმნეს, თუმცა სამიზნე ლალატობდათ. კარის ჩარჩოში მხოლოდ ისიანმა მოარტყა ორჯერ — პირველად პენალტიდან, რომელიც გაბისონიას წაქცევისთვის დაინიშნა და საეჭვოც ჩანდა. დამრტყმელს მეკარემ კუთხე გამოუცნო და ბურთი მოიგერია. მეორედ ისიანი თორმეტიოდე მეტრიდან ურტყამდა ძლიერად, მაგრამ ისევ მამარდაშვილი გადაელობა ბურთს და კუთხურზე გადააგდო.

საერთო ჯამში ნელი, უინტერესო, შეცდომებით დახუნძლული თამაში გამოდგა. მსაჯობაც არადამაჯერებელი.

„სიონს" დაკარგული ორი ქულა დიდად ველარ აზარალებს, ახალგაზრდული თსუ-სთვის კი გუშინდელი ქულაც საქმეა, რომელსაც რამდენიმე იმედისმომცემი ფეხბურთელი ეზრდება. ნიჭიერი ბიჭები არიან მერებაშვილი, ბერიშვილი, დათუნაიშვილი და ბერიანიძე. სხვებსაც არა უშავთ, მაგრამ დასკვნით ეტაპზე გამოუცდელი, რეგიონული ლიგიდან მოსული ახალგაზრდებით ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან საძნელო საქმე იქნება.

# თავხედობა შემოჩვენაზეა?

რუსთავი
22 მარტი
15 საათი
„ფოლადი"
4 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:2 დინამო**

1:0 კიტეიშვილი (12), 1:1 ზირაქიშვილი (16), 1:2 მიკუჩაძე (61)
**გორდა:** გუგუნავა, კედელაშვილი (მიშველიძე 65), ა. ბურნაძე, ა. გელაძე, დ. ბერიძე, ლაშა სილაგაძე (ზექაური 69), თ. მეტრეველი (ზელაძე 59), ალადაშვილი, კიტეიშვილი, ჯელაძე, ჯუღელი
**სათადარიგონი:** ბედიაშვილი; ა. სოხაძე, პატარიძე, ზ. ლაბაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, რ. სვანაძე, მაზიაშვილი, კანდელაკი, მანწკავა, ბურდული, მაზიაშვილი, იაგორაშვილი (აფციაური 86), მიკუჩაძე, ზირაქიშვილი (თუთარაშვილი 80), გ. ვ. მიქაძე (გაბიდაური 27)
**სათადარიგონი:** ბათიაშვილი; ჩივაძე, თ. მაისურაძე, ი. შენგელია
**გაფრთხილება:** ჯულელი (16), მანწკავა (45), ბურდული (76), თუთარაშვილი (89)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. ჭილიძე, ი. შალამბერიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურუნიში

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

**აგერ** უკვე თერთმეტი წელია, „გორდას" „დინამო" ვერ დაუმარცხებია. ბოლოს რუსთაველებმა ერთობ უხერხულ მეტოქეს 1993 წელს სძლიეს თბილისში „ეროვნულზე" და იოლი წარმოსადგენია, როგორ გაიხარა გუშინ „ფოლადზე" მრავლად მისულმა გულშემატკივარმა 12-ე წუთზე.

მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში წლეულს პირველად მოთამაშე ალექსანდრე კიტეიშვილმა ჯელაძეს გარეჯა დაუფასა, მეტოქე მცველების უყურადღებობით ისარგებლა და ათიოდე მეტრიდან გრიშიკაშვილს აუღებელი დაურტყა. რუსთაველებს მანამდეც შეეძლოთ გატანა. გოლამდე სამი წუთით ადრე კედელაშვილმა ბურთიანად მთელი მარჯვენა ფლანგი გადასერა, გზად სამი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოში ეფექტურად შეჭრილმა კარიდან ხუთ მეტრში არმაზ ჯელაძეს დაუგორა ბურთი, თუმც არმაზს დამაგვირგვინებელი დარტყმა გაუცუდდა.

გოლმა „დინამოზე" დოპინგივით იმოქმედა, საოცრად გამოცოცხლდნენ გოჩა ტყებუჩავას დამოძღვრილები და მშვენიერი ბურთაობაც გაჩაღდა. ჯერ ბურდულმა დაურტყა 12 მეტრიდან „გორდას" დებიუტანტ კონსტანტინე გუგუნავას, შემდეგ კი ზირაქიშვილმა გაისროლა ჩვეულად, მაგრამ გუგუნავამ ისევ იყოჩალა. მე-16 წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა, თუმც, რუსთაველთა აზრით, ზირაქიშვილმა ხელით გაიტანა გოლი. მატჩის შემდეგაც ამ ეპიზოდზე დიდხანს დავობდნენ. „გორდას" ფეხბურთელები გადაჭრით ამტკიცებდნენ, გოლი ხელით გავიდაო, იგივე აზრის იყვნენ მასპინძელთა მწვრთნელები და გულშემატკივრებიც. მატჩის ვიდეოჩანაწერმა, შესაძლოა, სადავო მომენტს ნათელი მოჰფინოს. ტრიბუნიდან კი ასე ჩანდა: მიკუჩაძემ მარცხენა ფრთაზე ორი მეურვე გაბითურა და საჯარიმოში შეჭრილმა ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, ერთ დროს რუსთაულ გუნდში მოთამაშე ზირაქიშვილმა კი თავით დაუცველ კარში შეაგორა. შილაკაძემაც გოლის ნიშნად უმალ მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა ხელი. ზირაქიშვილმა კი მიმდინარე ჩემპიონატში მეთექვსმეტედ გაიხარა და ერთპიროვნულად ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

ანგარიში გათანაბრდა და თამაშიც ერთიორად დაიძაბა. იმატა უხეშობამ, ერთი-ორჯერ ფეხბურთელები ჯგუფურადაც წაეკიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამის პარალელურად თვალსასეირო თამაშიც იყო და საერთოდ, რაც ერთობ მოულოდნელია ჩვენი ჩემპიონატისთვის, პირველი ტაიმი პირველიდან ბოლო წუთამდე ისე გაილია, 4 000-მდე მაყურებელს მოწყენის საშუალება არ ჰქონია.

ორმხრივ იერიშებში უფრო მონდომებულნი, სტუმრები იყვნენ. მაზიაშვილი შორეული დარტყმებით, მიკუჩაძე და მანწკავა სწრაფი გარღვევებით ბევრ პრობლემებს უქმნიდნენ მასპინძლებს, მოუხელთებელ ზირაქიშვილს კი გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდა მასპინძელთა მცველები. თავის მხრივ ცდას გეგუჩაძის შეგირდებიც არ აკლებდნენ. ორჯერ კიტეიშვილს ჰქონდა კარგი შანსი, ორი სახიფათო მომენტი კედელაშვილის და ალადაშვილის გარღვევებსაც მოჰყვა, მაგრამ ერთხელ ჯელაძეს გრიშიკაშვილმა აუღო, ერთხელაც ჯულელმა ააცილა ბურთს ფეხი. ტაიმის ბოლო წუთზე კი „გორდას" დაწინაურება შეეძლო. ალადაშვილმა ეფექტურად აჭრა ბურთი საჯარიმო დარტყმიდან, მაგრამ გრიშიკაშვილს შემწედ ხარიხა გამოუჩნდა.

მეორე ტაიმი, პირველისგან განსხვავებით, ერთობ უფერული გამოდგა, პირველი ტაიმის ემოციაგამოყოლილი ფეხბურთელები, ფაქტობრივად, მე-60 წუთისთვის დაილალნენ, თუმც იქამდე „დინამომ" გამარჯვებისა გაიტანა. გოლი მანწკავას შესანიშნავ თამაშს მოჰყვა, ახალგაზრდული ნაკრების წევრმა თავის ნახევრიდან წაიღო ბურთი, ეფექტურად დაუძვრა რამდენიმე მეტოქეს, დიდი სისწრაფით შეიჭრა მარჯვენა ფრთიდან „გორდას" საჯარიმოში და შორეულ ძელთან მყოფ მიკუჩაძეს ფეხზე დაასვა ბურთი, ამასაც გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა და გაიხარეს სტუმრებმა.

მატჩის ბოლომდე ორივე გუნდს თითო საგოლე მომენტი ჰქონდა. 75-ე წუთზე ჯულელს გათანაბრება მართებდა, მაგრამ კარიდან ექვსიოდე მეტრში მყოფმა ზედმეტი მოინდომა და „მაკრატელათი" სცადა გატანა. მატჩის ბოლოსწინა წუთზე კი ანგარიში 1:3 გახდებოდა, გუგუნავასთან პირისპირ შეჭრილ, შეცვლაზე შესულ თუთარაშვილს ხეირიანად რომ დაერტყა.

მოკლედ, „დინამო" კვლავაც დაუმარცხებელია საგაზაფხულო ეტაპზე „გორდას" კი გია გეგუჩაძის ხელში ჯერაც არ განუცდია გამარჯვების სიხარული.



ზაზა ზირაქიშვილი

**ჩვენი მეტოქე**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



ჯოვანი ტრაპატონი ჯენარო გატუზოს (მარცხნივ) [illegible]

# სასწრაფოდ ძენონი!

**რომაელ** მარკო დელვეკიოს, რომელიც ტრავმის გამო ნაკრების განაცხადიდან ამოვარდა და ფლორენციელი ენრიკო კიეზა შეცვლის, გუშინ „მილანის" ნახევარმცველი ჯენარო გატუზო შეუერთდა. გატუზოს კარგა ხნის წინ საზარდულის ტრავმა ჰქონდა, რომელიც მორჩენილი ეგონათ და გაუმიზეზდა. მილანელის ნაცვლად ჯოვანი ტრაპატონიმ რუმინეთთან და ლიტვასთან სათამაშოდ სასწრაფოდ ბერგამოელი დამიანო ძენონი გამოიძახა.

შესარჩევ მატჩამდე ორი დღით ადრე უნგრეთის ნაკრებიც კაცნაკლული დარჩა. ბუნდესლიგის „კოტბუსში" მოთამაშე იანუშ მატოუშს მუხლი სამშობლოში დაბრუნებამდეც აწუხებდა და ნაკრების ექიმმა იმედი საბოლოოდ გადაუწურა.

უნგრელთა მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი მატიუშის ტრავმამ შეაწუხა, მაგრამ მის ნაცვლად არავინ გამოუძახია — შეკრებაზე ისედაც ოცდახუთი ფეხბურთელი ჰყავს.

**გიორგი დარჯანია**

ტურის ცენტრალური მატჩი

# მსაჯო, შე მინადასაყრელო! ეჯმუნდო, ეჯმუნდო...

**გორი**
**22 მარტი**
**15 საათი**
**ცენტრალური**
**1 500 (ტევადობა 8 230)**

**დილა 1:0 კოლხეთი**

1:0 ეჯოშვილი (88)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, გაგნიძე, რ. საჭაპურიძე, გ. ჩიტაია (ლ. გოჩაშვილი 76), ფეხუაშვილი, სავვარელიძე, მ. ბურნაძე (ბოკერია 72), ეჯოშვილი, თაყაძე, ხორგუაშვილი (გოგინაშვილი 79)
**სათადარიგონი:** თ. ილურიძე, ოლგესაშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, შალამბერიძე, ქუნთელია, აკობია, ქობულაძე, ჭანტურიძე (მუმლაძე 65), კვირკველია (ღლონტი 78), ე. გვასალია, ფანჩულიძე, ნიჟნიკაძე, ხუროძე (ხუჭუა 64)
**სათადარიგონი:** მ. გვასალია, მაზაევა, ნარსია, ფურაშვილი
**გაფრთხილება:** ხორგუაშვილი (27), ქობულაძე (52)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

**დავით თავართქილაძე**

**ტურის** ცენტრალურ მატჩად გორელებისა და კოლხთა პაექრობა მივიჩნიეთ და თუ დაძაბულობისა და ბრძოლის ჟინის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც შევმცდარვართ. გულმოდგინედ გაისარჯნენ ფეხბურთელები, იომეს, საგოლე მომენტები შექმნეს და გულშემატკივარს ტრიბუნაზე არხეინად ჯდომის საშუალება არ მისცეს.

მართლაც და, მრავლის მოწმე გორის ცენტრალური სტადიონი. „დილას" წინა საშინაო მატჩზე „ბათუმთან" ფეხბურთელთა ჯგუფური ჩხუბიც ვიხილეთ, გუშინ კი, ჯერაც არნახული რამ მოხდა, თუმც ამაზე ქვემოთ.

პირველ ტაიმში უმეტესად სტუმრები უტევდნენ. „კოლხეთი" მოედნის შუაგულში სჯაბნიდა მეტოქეს — ქობულაძე, ჭანტურიძე და კვირკველია ყოჩაღად მოქმედებდნენ. ფლანგებზეც უკეთ გამოიყურებოდნენ ზღვისპირელები, განსაკუთრებით ელდარ გვასალია აქტიურობდა მარჯვენა ფლანგზე, საიდანაც მაღალ ბურთებს გზავნიდა სოლოლაშვილის კარის გასწვრივ. „დილას" დაცვაში ხვიჩა გაგნიძე კი ჰყავს, მაგრამ მეორე სართულზე მაინც მოიკოჭლებდა ვანო თაყაძის გუნდი. ჰოდა, რამდენჯერმე შეიქმნა არეულობა მასპინძელთა კართან, თუმც მეკარისა და მცველების უხეიროდ უკუგდებული ბურთები „კოლხეთის" ფორვარდებისთვის ფუჭად რჩებოდა. არცთუ ურიგო შანსი მიეცათ კვირკველიასა და ხუროძეს, მაგრამ ვერ ივარგეს. ნაღდი საგოლე მომენტი კი გორელებმა შექმნეს. ერთ-ერთი იშვიათი კონტრიერიშისას ბურთი მარჯვენა ფლანგზე სტუმართაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილ მიხეილ თაყაძეს მიუვიდა, მანაც საჯარიმოში შეჭრილ ზვიად ხორგუაშვილს ზუსტად მიაწოდა და გორელთა ვეტერანიც ზურაბ ქვაჩახიასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ რატომღაც დარტყმა დააყოვნა, მეკარესთან მიახლოება არჩია, კუთხეც დაამახვილა და უხეირდ დარტყმული ბურთი კოლხთა კარის დარაჯს გაარტყა. ამის მეტი „დილას" პირველ 45 წუთში ღირებული აღარაფერი შეუქმნია. სტუმრები კი კვლავ დიდხანს ფლობდნენ ბურთს და მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან თამაშს ვერ ამწვავებდნენ.

მკვეთრად შეიცვალა თამაში მეორე ნახევარში. საგაზაფხულო ეტაპზე აქამდე „დილას" ოთხივე შეხვედრა წაეგო და პირველი წრის ბოლო თამაშში არაფრის დიდებით არ სურდა ქომაგთა გაწბილება. მეტად შმაგად ეკვეთნენ გორელები მეტოქეს, ტემპს და აგრესიულობას უმატეს. კოლხთა უპირატესობა თვალსა და ხელშუა გაქრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კვლავ ხორგუაშვილს მიეცა კარის დალაშქვრის საუკეთესო შესაძლებლობა — რევაზ ხაჭაპურიძემ გრძელი გადაცემით პირისპირ შეატოვა ქვაჩახიას, მაგრამ ისევ ვერ აჯობა მეკარეს. შემდეგ „დილას" მეორე ფორვარდის ჯერი დადგა — თაყაძის ჩამოწოდებულ კუთხურს „კოლხეთის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთი დავით ეჯოშვილს მიუვიდა და ასე 6-7 მეტრიდან ოდნავ არაზუსტად დაარტყა. ამ ორმა ეპიზოდმა თითქოს ფრთები შეასხა გორელებს, ფოთელებიც გამოფხიზლდნენ და ერთობ თვალსასეირო ბურთაობა გაჩაღდა. მასპინძლები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ. თამაში არ ჩერდებოდა, წვრილ-წვრილი ჯარიმები, პირველ ტაიმში რომ უხვად იყო, აღარ ინიშნებოდა. გორელებს კიდევ ერთხელ მიეცათ დაწინაურების შანსი, მაგრამ შეცვლაზე შესულმა არჩილ ბოკერიამ ბურთი ძელს გაარტყა. სტუმრებზეც უნდა ითქვას, მათ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, წივწივაძემ დროული და ზუსტი პასით ქობულაძე სოლოლაშვილთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ „შუმახერამ" იმ მომენტში მეტსახელი გაამართლა და გუნდი გარდაუვალი გოლისგან იხსნა. ეს ეპიზოდი დაახლოებით 75-ე წუთზე მოხდა და ამან კოლხებზე ალბათ, ფსიქოლოგიურად იმოქმედა, შეტევის იმპეტზე მოვიდნენ, გაუთამაშდნენ „დილას" და თამაში გათანაბრდა. ცხადია, გორელ გულშემატკივრებს გულზე შემოეყარათ, მოვლენათა ასეთი განვითარებას არ ელოდნენ, განერვიულდნენ, მსაჯებსაც ერთობ პრეტენზიული თვალით შეხედეს...

85-ე წუთზე თანამსაჯი ჯუმბერ ბუიშვილი მინდორზე გაიშოტა, ხელს კეფაზე იკიდებდა, მაგრამ არბიტრისგან შველას და თამაშის შეჩერებას რატომღაც არ ითხოვდა. ბეჩავს სფფ-ის ინსპექტორი ილია მჭედლიშვილი გამოექომაგა, სათადარიგო მსაჯს გასძახა, არბიტრს თამაში გააჩერებინეო. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა — უგუნურ ქომაგს მკვრივი მიწის ბელტი უსვრია ჯუმბერ ბუიშვილისთვის.

თამაში 3-4 წუთის შემდეგ განახლდა და მოსახდენიც მალევე მოხდა. ამჯერად „დილამ" განახორციელა სწრაფი კონტრიერიში — თაყაძემ მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩააწოდა, ქვაჩახია უხეშად შეცდა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ეჯოშვილმაც გამარჯვებისა შეაგდო.

გაიხარეს გორელებმა. პირველად მოიგო მათმა „დილამ" ახალ საუკუნეში, თანაც სახელდაგდებული გუნდი წააქცია. განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთი გორში. ნასროლი ბელტის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ-ერთი გულშემატკივრის გოლის ავტორისადმი ექსპრომტად ნასროლ რეპლიკას — „ეჯმუნდო", „ეჯმუნდო"! ნაღდად არა უშავდა რა.

# იბერია დაიხშთა

## ბათუმმა კარი გაიჯახუნა

**თბილისი**
**22 მარტი**
**15 საათი**
**შევარდენი**
**200 (ტევადობა 3 000)**

**იბერია 0:5 ბათუმი**

0:1 ყულეჯიშვილი (40), 0:2 ტულუში (70), 0:3 მჟავანაძე (85), 0:4 მაჭუტაძე (86), 0:5 ყულეჯიშვილი (89)
**იბერია:** ცინაძე, ჟვანია, ხიზანიშვილი (ჩიჩუა 30), ამისულაშვილი, ნინუა, გ. ნოზაძე, ძამაშვილი, გულორდავა (ივქიანი 65), თარგამაძე (ქიაბრიშვილი 69), გაგუა, ლ. ხმალაძე
**სათადარიგონი:** კომახიძე, კეციანი
**ბათუმი:** ჭანტურია (ბალაძე 88), ჩიჩუა, გველესიანი, დარჩიძე (ბაჩილავა 73), მჟავანაძე, გელაქორიძე, ღლონტი, რომანაძე (აფხაზავა 76), მაჭუტაძე, თ. ტულუში, ყულეჯიშვილი
**სათადარიგონი:** ქიტიანავა, კობიძე
**გაფრთხილება:** ამისულაშვილი (65), რომანაძე (74)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირეკიძე (სოხუმი), ე. ჩოჩიშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**კობა ინასარიძე**

**შთამბეჭდავად** დაასრულა საუკეთესო ექვსეულში ვერმოხვედრილმა „ბათუმმა" პირველი ეტაპი. სტუმრად, თანაც თბილისში, ხუთბ-ერთიანი სხვაობით მოგება რომ ერთობ საძნელო საქმეა, ამას, ალბათ, თქმაც არ უნდა.

გუშინდელი მატჩის წინ ფავორიტებად ბათუმელები კი ითვლებოდნენ, მაგრამ ზღვისპირელები აუტსაიდერ „იბერიას" თუ ასე დაჩაგრავდნენ, ნამდვილად მოულოდნელი გახლდათ. არადა, „ბათუმის" პირველ გოლამდე მასპინძლებს ოდნავი უპირატესობა ჰქონდათ და თარგამაძესა და ხმალაძეს ჭანტურიას კარისკენ უფრო ზუსტად რომ დაერტყათ, იქნებ დაწინაურებულიყვნენ კიდეც.

„ბათუმმა" ჭკვიანურად ითამაშა. სტუმრები მასპინძლებს მოედნის თავიანთ ნახევარზე იტყუებდნენ, ცენტრის გადაკვეთის საშუალებას თავისუფლად აძლევდნენ და როგორც კი ბურთს დაეუფლებოდნენ, მეტოქეს სწრაფად და გონივრულად უტევდნენ. ბათუმელთაგან განსაკუთრებით მჟავანაძე გამოირჩეოდა. ჯანიანმა და მოძრავმა მცველმა „იბერიას" თითქმის ყველა შეტევა ჩაშალა, თავდასხმასაც არ ერიდებოდა და მატჩის მიწურულს გოლიც მიითვალა. პირველად კი სტუმრებმა მე-40 წუთზე გაიხარეს. მარჯვენა ფლანგიდან ღლონტი „იბერიას" საჯარიმოში შეიჭრა, რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და ბურთი იქვე, პენალტის ნიშნულთან ყულეჯიშვილს მიუგორდა, რომლის დარტყმულსაც ცინაძემ ვერაფერი მოუხერხა.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ ხუთ წუთში საინტერესო აღარაფერი მომხდარა. შესვენების შემდეგ კი „იბერია" გააქტიურდა, თუმც მეტოქის კართან ღირებული ვერაფერი შექმნა. უფრო სწორად, ბათუმელებმა არ შეაქმნევინეს და 25 წუთიც მიილია. გამოცდილი ტულუში „იბერიას" საჯარიმოს მიუახლოვდა, სამი მცველი გააპამპულა, ცინაძეს პირისპირ შერჩა და ტექნიკური დარტყმით ანგარიშიც გაიორა. მაშინ კი დაეკარგა თამაშს ყველანაირი ინტერესი. „იბერია" დაიბნა და კონტრშეტევებზე „ბათუმმაც" გაილაღა. მჟავანაძესთან ერთად ბათუმელი ვეტერანი, ბომბარდირი პაატა მაჭუტაძეც გამოსარჩევია, რომელმაც აშკარად დაჯაბნა პერსონალური მეურვე ამისულაშვილი.

მესამე გოლი ზემოხსენებულმა, მატჩში ერთ-ერთმა საუკეთესო მჟავანაძემ გაიტანა. მოედნის ცენტრში მან ბურთი თანაგუნდელს გაუთამაშა და საჯარიმოში შეჭრილმა ძლიერად დაარტყა, ცინაძემ კი მოიგერია, მაგრამ ისევ მჟავანაძემ დაარტყა, ამჯერად ცარიელ კარში. ამის შემდეგ „იბერია" მთლად მოიშალა. მასპინძლებმა პრესტიჟის გოლის გატანა სცადეს, მაგრამ პირიქით, ორი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. მატჩის დამთავრებას ოთხი წუთი აკლდა, ჭანტურიამ რომ ბურთი თამაშში შეიტანა, მაჭუტაძემ ერთი მოძრაობით ჩამოიშორა მეურვე და დაახლოებით 40 მეტრიდან აბრაგანით გაუტანა კარიდან წინ გამოსულ მეკარეს. გოლი მართლაც ლამაზი და საქართველოს ჩემპიონატისთვის იშვიათი გამოდგა. აქედან სამ წუთში კი ჩიჩუას გონივრული პასით ყულეჯიშვილმა ისარგებლა, რომელიც ცინაძესთან პირისპირ დარჩა და მეხუთე გაიტანა. აბა, წარმოიდგინეთ, მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ წუთებში როგორი თამაში გაჩაღდებოდა. „ბათუმი" მეტოქის კარისკენ აღარც იყურებოდა და მასპინძლებსაც ჰქონდათ შანსი, ერთი საპასუხო გაეტანათ. ვერაფრით მოახერხეს. „იბერიას" თავდამსხმელები ორჯერ პირისპირაც დარჩნენ „ბათუმის" მწვრთნელ ასლან ბალაძის ვაჟთან, მაგრამ ბურთი კარს ვერა და ვერ დაუმიზნეს, ერთხელაც დარტყმა დააყოვნეს მასპინძლებმა და...

„ბათუმის" გუშინდელი თამაშის შემყურე, კაცი ვერ იფიქრებდა, ამ გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვისღა მოუწევს ბრძოლაო, მაგრამ მეთორმეტე ეროვნულში ზღვისპირელთა უხეირო თამაშმა, ერთდროს მრისხანე „ბათუმს" ასეთი ხვედრი არგუნა



იბერიელებს ხასიათი კახა მჟავანაძემაც (მარცხნივ) დაუმჟავა და პაატა მაჭუტაძემაც

[illegible] ფოტო


# იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო"
ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

ნებისმიერი საფეხბურთო
ანგარიში, უახლესი ინფორმაციები
NHL და NBA.
ცნობები ცნობილასგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

# კარნევალი, ბის!

## ბათუმიდან გაშვებული იტალიელი თბილისში გაგენერლდეს


ჯანი კარნევალე

**შვიდი თვეა**, რაც იტალიელი ჯანი კარნევალი საქართველოში. მწვრთნელობას გამოეთხოვა. „ბათუმის“ ყოფილი თავკაცი მაინც ვერ ელევა ქართველებს და ჩვენი ფეხბურთისთვის არაერთი კარგი საქმეც გაუკეთებია.

იტალიაში ჩასულ ჩვენებურ ნაკრებებს თუ გუნდებს კარნევალი შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ აკლებდა. იმ შვიდი თვის მანძილზე ერთი-ორჯერ ჩამოვიდა კიდეც თბილისში. დღეიდან ერთი წლის განმავლობაში კი კარნევალი ისევ საქართველოში იცხოვრებს.

ჯანი კარნევალი ოფიციალურად დაინიშნა „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურ მენეჯერად. მართალია, ეს საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ იტალიელი საქმეს უკვე შეუდგა.

კარნევალის კომპეტენციაში შედის სამი კლუბის — „ვიტ ჯორჯიას“, „ვიტ ჯორჯია 2“-ის და თსუ-ს თავკაცთა კონსულტაციები, სასელექციო სამუშაოები და უცხოურ (იტალიურ და შვეიცარიულ) კლუბებთან კონტაქტები.

სინიორ ჯანის და „ვიტ ჯორჯიას“ ერთმანეთთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებთ — 6 თვეს პლუს 6 თვე. კლუბმა კარნევალის უკვე გამოუყო საცხოვრებელი, საქმეც დაძრულია და ვნახოთ, რამდენად შეეწევა იტალიელი ქართულ კლუბს.

კარნევალი კი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ბლოკნოტშიც თავისთვის რაღაცეებს ინიშნავს.

როგორც გვითხრეს, კარნევალი აღნიშნულ კლუბთა საწვრთნელ პროცესში არ ერევა და მთლიანად გენერალური მენეჯერის საქმეებითაა დაკავებული.

**დათო დანელია**

## საქართველოს პირველი ლიგა — მეორე წრე — ჩემპიონატი — 12 — 21 ტური

**მილანი 3:0 შუქურა**

წნორი, 21 მარტი, 15 საათი, ძველი ანაგა, 800 (ტევადობა 3 000)

1:0 მედოევი (17), 2:0 სოსელია (65), 3:0 ლუდუშაური (71)

მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუაშვილი, ვ. ლუდუშაური, კობიაიძე, მეტონიძე (მ. სომხიშვილი 81), ვარამაშვილი (გოძიაშვილი 71), გოლეთიანი, ქჟონია, ბარამიძე, მედოევი, ტოკლიკიშვილი (სოსელია 60)

სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ლეკიშვილი, გ. ჩიტაური

შუქურა: გოგუა, ქუტიძე, გეგეშიძე, ჩელებაძე, თ. კვირკველია (ჩახუნაშვილი 75), მესიაჩენკო (ვალიჩავა 75), ოქროპირიძე, ბაჟუნაიშვილი, ჯიბერიძე, კალანდაძე, კაკალაძე (კაცაძე 46)

სათადარიგონი: გაბუნია; ლომთათიძე, კოროტკოვი, მესხიძე

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)

**გურია 2:0 თბილისი**

ლანჩხუთი, 21 მარტი, 15 საათი, ევგრაფი შევარდნაძე, 200 (ტევადობა 22 000)

1:0 სამხარაძე (14), 2:0 გაბრიჭიძე (48)

გურია: ბ. შეყრილაძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ჯღარკავა (დაცუნია 46), სულაკაძე, განევი (კორკოტაძე 44), ჩხეტია, ენდელაძე, ვოსკანოვი, მ. სამხარაძე, პატარაია (გრიგოლ დოლიძე 78)

სათადარიგონი: გუბაზ დოლიძე; გ. ძნელაძე, ვასაძე, ლორია

თბილისი: კუპატაძე (კოდალაევი 52), გ. ჩალაძე, დ. სტურუა, მანაგაძე, აბრამიშვილი, ფირცხალავა (ზ. ნიკურაძე 60), სანიკიძე, კოხრეიძე, ქუხილავა, სალარეიშვილი, მ. ცქიფურიშვილი (გოგმაჩაძე 25)

სათადარიგო: ლ. კაპანაძე

გაფრთხილება: კოხრეიძე (20), ჩილაძე (66), ნიკურაძე (75)

განძევება: ნიკურაძე (85)

მსაჯები: ლ. მიქელაძე; გ. ჩიგოგიძე, თ. გიორგაძე (ყველა სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი)

**ივერია 0:2 სამგურალი**

ხაშური, 21 მარტი, 15 საათი, ბიძინა ყვავაძიძე, 300 (ტევადობა 8 000)

0:1 კიკვიძე (23), 0:2 ფრანგიშვილი (58პ)

ვაჩნაძეშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (90, აიცილა)

ივერია: ხარშილაძე, პ. მელაძე (ულუმბელაშვილი 60), გოგალაძე, გურამ ლომიძე, ნეკერაშვილი, მინაძე (ვაჩნაძეშვილი 46), ჯობაძე, ელასოვი (გ. ხაჩიძე 46), ტილკავაშვილი, თ. ხაჩიძე, ინასარიძე

სათადარიგონი: ხვედელიძე; ვეშაპიძე

სამგურალი: ვარდანიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, დ. ქელიძე (ბანძელაძე 70), დარსაძე, მ. ჯინჭარაძე, თურმანიძე, ზ. ფხაკაძე, კიკვიძე, კობალიანი (დ. ჯიქია 60), კვერნაძე (ვადაჭკორია 80)

სათადარიგონი: თ. ბოდოკია; ცუცქირიძე, ტეხოვი, ზ. ქუთათელაძე

გაფრთხილება: გ. ხაჩიძე (68)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ურუშაძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი)

**ხობი 2:1 ოკეანე**

ხობი, 21 მარტი, 15 საათი, კოლხეთი, 1000 (ტევადობა 14 000)

1:0 თორია (7), 2:0 დანელია (54), 2:1 ფხაკაძე (74)

ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, დ. დანელია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, კ. ხურცილავა, ა. ჯიქია (მ. ტყებუჩავა 70), თორია, ზაზა აიანადი, ქიქინაძე, როგავა

სათადარიგონი: რ. თოლორდავა; აბაკელია, ხორავა

ოკეანე: ხარძეიშვილი, ტონია (ბაკურაძე 28), თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, ცომაია, ხურციძე, ხელაძე (ტყეშელაშვილი 65), ლომინაშვილი, ო. ფხაკაძე, ჯიქიძე

სათადარიგონი: ა. ჩომახიძე; ჯულაყიძე, ჩიგოგიძე, მეგრელიშვილი

გაფრთხილება: როგავა (61)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

**ცხინვალი — ზუგდიდი**

გორი, 21 მარტი, 15 საათი, ცენტრალი

არ ჩატარდა, „ზუგდიდი“ თამაშზე არ გამოცხადდა

**მეტალურგი 2:0 თორი**

ზესტაფონი, 21 მარტი, 15 საათი, მეტალურგი, 800 (ტევადობა 10 000)

### ოცდამეორე ტური

25 მარტი, კვირა

თორი — ხობი

ოკეანე — ცხინვალი

ზუგდიდი — მილანი

შუქურა — ივერია

სამგურალი — გურია

თბილისი — მეტალურგი

### ბომბარდირები

14 - ქუთათელაძე — სამგურალი

13 - გვირჯიშვილი — ცხინვალი

12 - ქალანდაძე — შუქურა

11 - ბოჭორაძე — ცხინვალი

გ. გვაჩავა — მეტალურგი

9 - ტოკლიკიშვილი — მილანი

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მეტალურგი | 21 | 12 | 6 | 3 | 36:17 | 19 | 42 | 11 | 10 | 1 | 0 | 27:5 | 22 | 31 | 10 | 2 | 5 | 3 | 9:12 | -3 | 11 |
| 2 გურია | 21 | 12 | 5 | 4 | 30:22 | 8 | 41 | 11 | 9 | 2 | 0 | 22:6 | 16 | 29 | 10 | 3 | 3 | 4 | 8:16 | -8 | 12 |
| 3 მილანი | 21 | 12 | 3 | 6 | 32:18 | 14 | 39 | 11 | 11 | 0 | 0 | 25:3 | 22 | 33 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:15 | -8 | 6 |
| 4 შუქურა | 21 | 11 | 4 | 6 | 27:18 | 9 | 37 | 10 | 8 | 2 | 0 | 18:2 | 16 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 7:17 | -10 | 9 |
| 5 ცხინვალი | 20 | 11 | 3 | 6 | 44:23 | 21 | 36 | 10 | 9 | 1 | 0 | 34:7 | 27 | 28 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | -6 | 8 |
| 6 სამგურალი | 21 | 11 | 3 | 7 | 37:21 | 16 | 36 | 10 | 9 | 1 | 0 | 29:8 | 21 | 28 | 11 | 2 | 2 | 7 | 8:13 | -5 | 8 |
| 7 თორი | 21 | 8 | 4 | 9 | 21:18 | 3 | 28 | 10 | 6 | 2 | 2 | 17:6 | 11 | 20 | 11 | 2 | 2 | 7 | 4:12 | -8 | 8 |
| 8 ხობი | 21 | 6 | 6 | 9 | 17:23 | -6 | 24 | 11 | 4 | 6 | 1 | 7:3 | 4 | 18 | 10 | 2 | 0 | 8 | 10:20 | -10 | 6 |
| 9 ზუგდიდი | 20 | 7 | 3 | 10 | 29:43 | -14 | 24 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:12 | 7 | 21 | 10 | 1 | 1 | 8 | 11:29 | -18 | 4 |
| 10 ოკეანე | 21 | 4 | 4 | 13 | 21:40 | -19 | 16 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 14 | 11 | 0 | 2 | 9 | 8:26 | -18 | 2 |
| 11 ივერია | 21 | 4 | 3 | 14 | 12:38 | -26 | 15 | 11 | 4 | 3 | 4 | 9:12 | -3 | 15 | 10 | 0 | 0 | 10 | 3:26 | -23 | 0 |
| 12 თბილისი | 21 | 4 | 2 | 15 | 9:34 | -25 | 14 | 10 | 4 | 1 | 5 | 8:8 | 0 | 13 | 11 | 0 | 1 | 10 | 1:26 | -25 | 1 |


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

**წარმოგიდგენთ**

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

**„ვარსკვლავები“**

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

*გენერალური სპონსორი მაგთი GSM*

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი


## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..............................
2. საუკეთესო მეკარე ..............................
3. საუკეთესო მცველი ..............................
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..............................
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..............................
6. საუკეთესო მწვრთნელი ..............................
7. საუკეთესო მსაჯი ..............................
8. საუკეთესო გუნდი ..............................
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ..............................

..............................

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა კალაძის უპირველესი ქომაგი „მილანში“ მისი ძველ-ახალი თანაგუნდელი ანდრეი შევჩენკოა

# შრომა, შრომა და შრომა

## კახა კალაძე ახალი მილანის გული იქნება

*ქართული მედიის გამორჩეული ინტერესი კახა კალაძისადმი უკვე ჩვეული ამბავია, მას შემდეგ რაც კალაძემ სახელოვანი „მილანის“ მაისურა მოირგო და პირველი ქართველი ფეხბურთელი შეიქნა, რომელსაც სერია A-ში ბურთი გაუგორებია, ეს ინტერესი ორმაგად გაიზარდა. კალაძემ ევროპის ამ უპრესტიჟულეს ლიგაში, „მილანის“ შემადგენლობაში ექვსჯერ ითამაშა და ჩვენი უცხოელი კოლეგების ყურადღებაც მიიპყრო. სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტი საიმონ ევანსი ახლახან მილანელოს საწვრთნელ ცენტრს ესტუმრა, ჩვენებურს გაესაუბრა და კახა კალაძე საფეხბურთო სამყაროს გააცნო.*

**შესაძლოა**, იმის შედეგიცაა, რომ კახა კალაძე პოსტსაბჭოთა საქართველოს მძიმე ყოფაში გაიზარდა, მაგრამ ფაქტია, „მილანის“ ახალწვეულს ვერაფრით გააკვირვებ. იანვრის ბოლოს კიევის „დინამომ“ კალაძე „როსონერებს“ მიჰყიდა და თითქმის მაშინვე „მილანს“ სერიოზული ჩავარდნა დაეწყო. ყველაფერი მთავარი მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის გადადგომით დამთავრდა.

საინტერესოა, რომ კალაძე სათადარიგოთა სკამზე არც დამჯდარა, კლუბის წამყვანი მცველების ტრავმებმა ხელმძღვანელები აიძულა ქართველი ლეგიონერი მაშინვე ბრძოლაში ჩაერთოთ, არადა, ხეირიანად ჯერ თანაგუნდელებსაც არ იცნობდა. პირველივე მატჩებმა დაამტკიცა, რომ ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე უსარგებლო ტრანსფერის შემდეგ, იტალიელებმა ნამდვილი ოსტატი შეიძინეს.

კალაძე აუღელვებელია, საკუთარ თავზე უყოყმანოდ იღებს თამაშს, ტექნიკურია, ჰაერშიც კარგად იბრძვის, აქვს იშვიათი პოზიციური ალღო, უშიშრად და ეფექტურად თამაშობს ვარდნაში — ასეთი ფეხბურთელი არ შეიძლებოდა „მილანში“ არ მოსწონებოდათ.

*„აქ რომ მოვდიოდი, არაფრის მეშინოდა. ანდა, ვისი უნდა შემშინებოდა? — უთხრა კალაძემ სააგენტო „როიტერს“ — კიევის „დინამოსთან“ ერთად სამ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში გამოვდიოდი, ევროპის საუკეთესო კლუბებისა და ფეხბურთელების წინააღმდეგ განთქმულ სტადიონებზე მითამაშია. მაშ, რაღამ უნდა გამაკვირვოს“.*

მწვრთნელებმა ის სხვადასხვა სათამაშო პოზიციებზე შეამოწმეს. ამით ტრავმირებული ფეხბურთელების მიზეზით წარმოქმნილი „ხვრელების“ ამოვსებას ცდილობდნენ. ქართველმა ცენტრალურ მცველადაც ითამაშა, საყრდენ ნახევარმცველადაც, შემტევ შუახაზელადაც და ყველა ამოცანას ღირსეულად გაართვა თავი. იმ შეხვედრებშიც კი, რომელშიც გუნდს არაფერი გამოსდიოდა.

კალაძეს მიაჩნია, რომ უნივერსალიზმი მისი ღირსებაა: *„თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში თავდამსხმელად ვთამაშობდი. მერე შუისკენ დამწიეს, ბოლოს კი დაცვაში მომიჩინეს ადგილი. მართალი გითხრათ, სულ ერთია, რომელ პოზიციაზე მათამაშებენ, ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. უფრო საყრდენ ნახევარმცველად თამაში მეხალისება, თუმცა არც სხვა პოზიციები მაშინებს“* — ამბობს 22 წლის კალაძე.

ლობანოვსკის გამოზრდილს სჯერა, რომ უნივერსალური ფეხბურთელები მომავლის კი არა, დღევანდელი ფენომენია: *„ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთელს უფლება არ აქვს თქვას, ესა და ეს არის ჩემი პოზიციაო. ეგ დრო დიდი ხანია წავიდა. მოთამაშეს ნებისმიერ ადგილზე თამაში უნდა შეეძლოს, თანაც ტექნიკურ ილეთებსაც სრულყოფილად უნდა ასრულებდეს, იქნება დარტყმა, პასი, ჩაწოდება, მოტყუება თუ გოლის გატანა. სწორედ ამის გათვალისწინებით ვხვეწ თამაშს. ვცდილობ, ნაკლი ბოლომდე გამოვასწორო“.*

კალაძეს უკვე მარსელ დესაის ადარებენ და ამბობენ, ახლო მომავალში მეორე ფრანკო ბარეზი გახდებაო. თავად კახა თავმდაბლობს: *„ისინი დიდი ფეხბურთელები არიან. გამოგიტყდებით, ძალიან მსიამოვნებს ასეთი შედარება, მაგრამ საკუთარ თამაშს სალად ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო“.*

კახა ყოველთვის ოცნებობდა იტალიაზე. თავის დროზე მიუნხენის „ბაიერნის“ წინადადებაც კი უარყო. ევროთასებზე აპენინური კლუბების ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, კახას სჯერა, რომ არჩევანში არ შემცდარა: *„ნახეთ, როგორი გვარებია! მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები იტალიაში თამაშობენ. ეს არის ყველაზე მძიმე და ძლიერი ჩემპიონატი. ადრე იტალიაში ჩამოსვლაზე ვოცნებობდი, ახლა კი „მილანთან“ ერთად „სკუდეტოსა“ და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვფიქრობ“.*

„როსონერების“ ბოლოდროინდელი ჩავარდნა და ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გავარდნა კალაძის სიტყვებს თითქოს ოცნების საბურველს ასხამს, მაგრამ კახას ეს არ აღელვებს: *„ყველაფერი ჩაივლის. ფეხბურთი ჩავარდნებისა და აღზევებების ნაზავია. ამიტომ, მჯერა, რომ „მილანი“ კვლავ აღორძინდება“.*

ახლა „მილანში“ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი და თუ კვლავ აღზევდნენ, ახალი გუნდის გული, უთუოდ ქართველი კახა კალაძე იქნება.

**საიმონ ევანსი „როიტერი“**



კახა კალაძე და იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო



„ეინდჰოვენის“ გაავებულ ქომაგებს ჰოლანდიელი ფეხბურთელები აწყნარებდნენ

# განაჩენი საბოლოოა

## ფეხისმკვნეტელ ნედვედს სამი, შარიან ფილიპსს ერთი

**ფეხბურთი** ემოციური თამაში გახლავთ და მატჩის დროს მოუთოკავი, ზღვარგადასული ვნებები არავის უკვირს. სწორედ ფეხბურთელთა თუ გულშემატკივართა ვნებათაღელვის გასანელებლად და გასაკონტროლებლად არსებობს უეფაში სადისციპლინო კომიტეტი.

ახლახან სადისციპლინო კომიტეტი „ლაციოს“ ლეგიონერ პაველ ნედვედის საქციელით დაინტერესდა. ჩეხმა, ჩემპიონთა ლიგის ბოლო თამაშში, რომელსაც არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ლიდსელთა მცველი ალან მაიბერი მატჩის დამთავრებამდე საკმაოდ ადრე ყავარჯნებით გაისტუმრა გასახდელში. მისი უხეში ვარდნა, რომელმაც მაიბერის მუხლი იმსხვერპლა, მსაჯმა ვერ შეამჩნია. თუმცა ამგვარ შემთხვევებს ჩასაფრებულმა სადისციპლინო კომიტეტმა შეჯახების მომენტი ვიდეოფირზე რამდენჯერმე დაატრიალა და საბრალდებო დასკვნაც გამოიტანა: პაველ ნედვედი სამ ევროტურნირულ მატჩს გამოტოვებს. როგორც ვიცით, „ლაციო“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას უკვე დაემშვიდობა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია შემდეგ სეზონში გადაჰყვება.

თუ ნედვედის უხეშობა, რომელიც მსაჯს გამოეპარა და კირკიტა ჩინოვნიკების მახვილმა თვალმა გამოააშკარავა, ეინდჰოვენის „ფილიპსის“ სტადიონზე დატრიალებული მოვლენები კი ყველამ იხილა. უეფას თასის მეოთხედფინალური მატჩის მსვლელობისას, მსაჯის გადაწყვეტილებამ ჰოლანდიელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაენიშნა და „ეინდჰოვენის“ კაპიტნისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინა, გულშემატკივრები გაახელა. ისინი მოედანზე გადავიდნენ და არბიტრთან ურთიერთობის გარკვევა მოიწადინეს.

დიდი ამბავი ატყდა. მაგრამ ჰოლანდიელთა მწვრთნელის ერიკ გერეტსის ავტორიტეტმა და თვით ფეხბურთელთა ძალისხმევამ გაავებული ბრბო თხუთმეტ წუთში კვლავ ტრიბუნებზე დააბრუნა. სწორედ მათი ღვაწლი გაითვალისწინა სადისციპლინო კომიტეტმა და სტადიონს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ევროტურნირული მატჩით დისკვალიფიკაცია აკმარა. პსვ-ს უახლოესი საშინაო ევროთამაშის ჩატარება ეინდჰოვენიდან არანაკლებ ასი კილომეტრით დაშორებულ ქალაქში მოუწევს.

**Copa Toyota Libertadores '2001**

**ლიბერტადორესის თასი 2001**

VI ჯგუფი. IV ტური

დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 0:1 ვასკუ და გამა (ბრაზილია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა დე კალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ვასკუ და გამა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| პენიაროლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| დეპორტივო ტაჩირა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

VII ჯგუფი. IV ტური

კრუზ ასული (მექსიკა) 1:0 სან კაეტანო (ბრაზილია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ოლმედო | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 6 |
| დეფენსორ სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| სან კაეტანო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ვაშა მრმრას, ვაი, დეპორტივოს


ეჭვმიტანილი ჟაკ სონგო

გაიხარა მარტინ ერერამ. საგულდაგულო ძიებამ მისი ევროკავშირელობა საბოლოოდ დაადასტურა. ვიტორიის „ალავესის“ კარის დარაჯს უკვე შეუძლია, თავისი იტალიური პასპორტით იამაყოს. ოთხშაბათს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ არგენტინელის იტალიელობა, შესაბამისად, ევროკავშირელობა სანდოდ მიიჩნია და მეკარეს შესაძლებლობა მისცა, თავის ადგილს დაბრუნებოდა ორ ძელს შორის. მარტინ ერერა უკვე პრიმერადივიზიონის შემდეგ ტურში დაეხმარება თანაგუნდელებს, ხოლო აპრილში უეფას თასის ნახევარფინალში მეტოქე „კაიზერსლაუტერნის“ შეტევების მოგერიებასაც შეეცდება.

ერერა გამართლდა და „ალავესს“, ალბათ, გვარიანად შეეწევა, მაგრამ საპასპორტო ციებ-ცხელებამ, შესაძლოა, ევროთასებზე მოასპარეზე მეორე ესპანური კლუბი, ლა კორუნიის „დეპორტივო“ მნიშვნელოვნად დააზარალოს. სამართალდამცავეთათვის დამალული ქვეყნად თითქმის არაფერია და მათ გამჭრიახ მზერას გალისიელების უცხოტომელთა საეჭვო წარმოშობაც გამოუჩხრეკია.

ყალბისმქმნელთა უსასტიკესი რეიდის თავკაცებს კამერუნელი ჟაკ სონგოს, ბრაზილიელი ემერსონის, არგენტინელების ალდო დუშერის და მარინო ჰელდერის ევროპელობის არ სჯერათ. ჟაკ სონგოს ფრანგულ-კამერუნული მოქალაქეობა აქვს, ემერსონი პორტუგალიელ-ბრაზილიელია, ჰელდერი მარტოოდენ პორტუგალიელობას ჩემულობს, ხოლო დუშერმა თავისი ძირები, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ავსტრიაში ჰპოვა. სწორედ სავარაუდო თაღლითთა ეს ოთხეული შეუერთდება „ტენერიფეს“ მობურთალ ბარატასა და ბასავილბოას, რაიოვალეკანოელ ბარტლეტს, „ხეტაფეს“ ამარალის და „გრანადაში“ მოღვაწე მოიას. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მართლაც მიღწევები აქვს — ცხრა ეჭვმიტანილი ერთი კვირის განმავლობაში, დიდებული შედეგია.

ფედერაცია ამ რიცხვზე შეჩერებას არ აპირებს და პირველ, მეორე და მესამე დივიზიონის კლუბებს კვლავაც უგზავნის ბრძანებებს, რათა ესპანელთა ევროკავშირული პრესტიჟი სუფთად შეინახონ. ფედერაციის ერთ-ერთი თავკაც ხერარდო გონსალესის თქმით, ყალბისმქმნელთა მხილების ფრონტი ქვეყანაში წარმატებულად გაიშალა და, ალბათ, მალე საქმის ბოლოც, თაღლითობასთან დაკავშირებული პრობლემის ძირიც გამოჩნდება.

**გიორგი გაგარდაშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის ჩემპიონმა „მონაკომ“ „ოსერის“ ნახევარმცველი მუსა საიბი შეიძინა და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ალჟირის ნაკრების 32 წლის ფეხბურთელი ახალ გუნდს სეზონის ბოლოს შეუერთდება. იგი 1996 წელს „ოსერის“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა და ქვეყნის თასი მოიგო. ერთი წლის შემდეგ „ვალენსიაში“, იქიდან კი 1998 წელს „ტოტენჰემში“ გადავიდა. 1999 წელს საიბმა ინგლისიც დატოვა და საუდის არაბეთის „ალ ნასრიში“ ჩაირიცხა. მან შარშან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც ითამაშა, ამ სეზონის დასაწყისში კი „ოსერში“ დაბრუნდა.

**არგენტინელ ნახევარმცველ კილი გონსალესს რამდენიმე წამყვანი იტალიური კლუბი ეპატიჟება. ამიტომ, ახალი სეზონი მან შესაძლოა „ვალენსიაში“ აღარც დაიწყოს. იუწყებიან, რომ თუ ესპანური კლუბი ფეხბურთელის გაყიდვაზე დათანხმდა, მის სანაცვლოდ, დაახლოებით, 30 მილიონ დოლარს მოითხოვს. კილი გონსალესის მსურველ კლუბთა შორის კი ყველაზე ხშირად „რომას“, „იუვენტუსს“, „ინტერსა“ და „მილანს“ ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ კილიმ ახლახან ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და ევროკავშირული ლიმიტი მასზე აღარ გავრცელდება.**

ესპანური „ესპანიოლის“ ნახევარმცველმა როხერ გარსიამ ახალი სეზონი შესაძლოა „დეპორტივოში“ დაიწყოს. როხერის ამჟამინდელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ თუ რომელიმე კლუბი მის შეძენას მოისურვებს და კონტრაქტს გამოისყიდის, კატალონიელებს საკომპენსაციოდ 5 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. „დეპორტივოც“, შესაძლოა, სწორედ ასე მოიქცეს. აღსანიშნავია, რომ ნახევარმცველის შეძენის სურვილს „ფიორენტინა“ და „არსენალიც“ გამოთქვამენ.

**არგენტინელმა მცველმა მაურისიო პელეგრინომ „ვალენსიასთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მიმდინარე შეთანხმება მას გაისად უსრულდება და ამბობდნენ, ფეხბურთელი ესპანურ კლუბს დატოვებს და იტალიას მიაშურებსო. თუმცა ახალმა ხელშეკრულებამ ხმები გააქარწყლა. „ვალენსიაში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ, ამბიციური კლუბია და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ვიცნებობ, რომ ჩემს აქ ყოფნაში რაიმე სერიოზული ჯილდო მოვიპოვო“ — განაცხადა 28 წლის პელეგრინომ.**

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ლისაბონის „ბენფიკას“ ერთბაშად სამ ფეხბურთელს — ესპანელ მცველ კარლოს მარჩენას, გერმანელ მეკარე რობერტ ენკეს და პორტუგალიელ ნახევარმცველ ფერნანდუ მეირას დაადგა თვალი. ვარაუდობენ, რომ გერმანელები სეზონის ბოლოს ერთ-ერთის გადაბირებას მაინც მოახერხებენ. სხვათა შორის, მარჩენას ორი ესპანური სუპერკლუბი — „რეალი“ და „ბარსელონაც“ იწვევს. გოლკიპერი ენკე კი ამჟამად ლისაბონურ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას.

ესპანურმა „რეალმა“ სურვილი გამოთქვა, ლისაბონის „სპორტინგის“ მცველი ბეტუ სევერუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაიბიროს, ლისაბონური კლუბი კი ამ ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშის გაყიდვას ჯერჯერობით არ აპირებს. **„სამეფო კლუბმა“ რამდენჯერმე წარმომადგენლებიც გაგზავნა პორტუგალიაში ფეხბურთელის თამაშზე დასასწრებად. ესპანელები მზად არიან, ბეტუს სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი გადაიხადონ.**

იტალიურ „ინტერს“ „ნუმანსიას“ ცენტრალური ნახევარმცველის ჩომინ ნაგორეს ყიდვა განუზრახავს. ეს ინფორმაცია მოთამაშის აგენტმაც დაადასტურა: „მილანიდან მართლაც დაგვიკავშირდნენ, თუმცა „ინტერი“ ერთადერთი კლუბი არაა, ვისაც ნაგორეს შეძენა სურს“. ეს ფეხბურთელი „ნუმანსიაში“ ორი სეზონია თამაშობს, ადრე კი ბილბაოს „ატლეტიკის“ ღირსებას იცავდა. „ინტერს“ მისი კონტრაქტის გამოსყიდვა 2 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

**ბოსნიელმა ფორვარდმა ელვირ ბოლიჩმა „ესპანიოლი“ დააინტერესა. „რაიო ვალეკანოს“ ფეხბურთელს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი 2003 წლამდე აკავშირებს. თუმცა კატალონიელები მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ და სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე, შესაძლოა, გადაიბირონ კიდეც. „ვიმედოვნებთ, რომ თავად ბოლიჩსაც სურს ჩვენთან გადმოსვლა. მართალია, „რაიო ვალეკანო“ მოთამაშეებს იშვიათად ყიდის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, გამონაკლისი მოხდება“ — განაცხადა „ესპანიოლის“ დირექტორმა ფერნანდო მოლინოსმა. აღსანიშნავია, რომ ბოლიჩის ხელში ჩაგდება „ფიორენტინასა“ და „ვესტ ჰემსაც“ სურთ.**

გერმანულმა ბრემენის „ვერდერმა“ შესამოწმებლად ორი მეკარე მიიწვია, მათგან ერთ-ერთს შეარჩევს და მასთან ხელშეკრულებასაც გააფორმებს. ბრემენში იმყოფებიან „მიუნხენ 1860“-ის სარეზერვო გოლკიპერი, პოლონელი კონრად ჟასიონეკი და ხორვატული „ციბალიას“ კარის დარაჯი ტომისლავ ვრანიჩი. „ვერდერის“ ამჟამინდელ მეკარეს, ფრანკ როსტს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უსრულდება და იგი, ალბათ, კლუბს დატოვებს.

**თურქული „ბეშიქთაშის“ ახალდანიშნული მწვრთნელი, გერმანელი კრისტოფ დაუმი კვლავ ცდილობს, სტამბოლურ კლუბში ბუნდესლიგის მოთამაშეები გადაიბიროს. დაუმმა ახლახან სურვილი გამოთქვა, „ბოხუმის“ ნახევარმცველი ილდირიმ ბასტურკი და მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი ბერქანტ გიოქთანი შეიძინოს. „მინდა, ძლიერი გუნდი შევქმნა, რომელსაც თურქეთის ჩემპიონობისა და ევროთასის მოგებისთვის ძალუძს ბრძოლა“ — განაცხადა გერმანელმა. შეგახსენებთ, რომ მან სტამბოლში თავისი ყოფილი კლუბის, „ლევერკუზენის“ თავდამსხმელ ულფ კირსტენის გადაყვანაც ისურვა.**

ინგლისის პირველდივიზიონურმა „ვულვერჰემპტონმა“ „სტოკპორტის“ მცველი შონ კონელი სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანა. 20 წლის ფეხბურთელმა სადებიუტო მატჩი შესაძლოა, მომავალ ტურში ჩაატაროს. „ვულვზის“ მწვრთნელმა დევიდ ჯოუნსმა კი განაცხადა: „კონელი ძალიან გამოცდილი მოთამაშეა და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს გუნდს წარმატებას მოუტანს. არ გამოვრიცხავთ, სეზონის დასრულების შემდეგ იგი საბოლოოდ გადმოვიბიროთ“.

# რივალდო და ბარსელონა



## გული vs ფული

„ბარსელონამ“ დაჟინებით განაცხადა, რივალდო არ იყიდებაო. ეს დაჟინება კი კატალონიაში იმიტომ დაჭირდათ, რომ მსოფლიო პრესა მოიარა ცნობამ, აქაოდა, ბრაზილიელ ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყიდულობსო.

„ელ მუნდო დეპორტივო“ ესპანური გაზეთია, რომელმაც კომენტარი „ბარსელონას“ პრეზიდენტს ხუან გასპარს სთხოვა. გასპარმა უპასუხა:

„აქ ფული არაფერ შუაშია. ეს გულის ამბავია. რივალდოს წასვლა კლუბს არ სურს და არც თავად უნდა ჩვენი დატოვება — მაშ, გამოდის, რომ ის არსად მიდის“.

სხვათა შორის, ერთი ხნის წინ გასპარი ბრძანებდა, რომ „იუნაიტედმა“ მას რივალდოში ბრიტანეთისთვის ყოვლად ხარჯიანი ფული, 22 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

ამასობაში მანჩესტერულთა ერთ-ერთმა დირექტორმა პიტერ კენიონმა თქვა: „ამ საკითხზე საერთოდ არ მიგვიმართავს ვინმესთვის“.

„ძალიან მსიამოვნებს ისეთ კლუბთან რომ მაკავშირებენ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ გახლავთ. „ბარსელონადან“ ოდესმე თუ წავალ, მხოლოდ სამ გუნდში: „მანჩესტერ იუნაიტედში“, „იუვენტუსში“ ან „მილანში“. ისე კი, როდესაც „ბარსელონასთან“ განახლებული კონტრაქტი დავდე, ჩემი მომავალი კლუბს მივანდე და ახლა წესი წესია, დავემორჩილები ყველაფერს, რასაც გადაწყვეტენ“ — განაცხადა თავად ფეხბურთელმა და შემდეგ დასძინა, რომ სულაც არ გაუკვირდება ზაფხულში გასპარმა რომ გაყიდოს.

# მათეუსმა გერმანია დაიტირა

## სად არის სხვაგან ახალი კლინსმანი...



გუშინწინ ლოთარ მათეუსი ორმოცი წლისა მოიყარა და ეგებ, კარგადაც მოილხინა, მაგრამ ჟურნალისტებს ნაღვლიან თემებზე ესაუბრა. მათეუსის ფიქრი გერმანული ფეხბურთის დღევანდელ ყოფას დასტრიალებს და სასიხარულო ვერაფერი აღმოუჩენია.

ვარსკვლავები აღარ გვყავსო, ჩივის მათეუსი, შტეფან ეფენბერგი, ოლივერ კანი და, თუ ძალიან მოვინდომებთ, მეჰმეთ შოლი, აი, მხოლოდ ესენიო.

იენს ნოვოტნის ქარიზმა აკლია, სებასტიან დაისლერი ჯერ ახალგაზრდაა, მიხაელ ბალაკმა საკუთარ თავზე კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს — ეს მათეუსისეული შეფასებაა იმ ფეხბურთელებისა, რომელთაც ნამდვილი ვარსკვლავობის შანსი აქვთ, თორემ დღეს ყველას ვარსკვლავს ეძახიან. „კარგი კონტრაქტი, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა და ნაკრების წევრობა — ახლანდელ ფეხბურთელებს ეს სავსებით აკმაყოფილებთ, არადა, ჩემს დროს სხვანაირად იყო. მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებოდით. ერთ თასს მოვიგებდით და მეორეც გვინდოდა, ნამდვილი სპორტსმენობაც ესაა“ — უბერებელ ლიბეროდ წოდებულ ლოთარ მათეუსს ასეთი დასკვნა აქვს (?) ... 

მათეუსის აზრით, ბუნდესნაკრების უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ რუდი ფიოლერისა და იურგენ კლინსმანის წასვლის შემდეგ გუნდს ხუპერფორვარდები აღარ ჰყავს. აი, ტიური არის, ფილიპო ინძაგისა ან მაიკლ ოუენის დარი კაცი რომ გამოჩნდეს... ასე კი რა? ოლივერ ბირჰოფის იმედად ვართო.

**გიორგი დარჯანია**



ალესანდრო ნესტა (თასით) „ლაციოს“ ერთგულია

# მარად ლაციო!

**იტალიის** ნაკრების მცველმა ალესანდრო ნესტამ, თავის კლუბ რომის „ლაციოს“ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ერთგულება. იმის მიუხედავად, რომ არაერთ წამყვან ევროპულ კლუბს სურს, თავის რიგებში იხილოს, 24 წლის ფეხბურთელმა ახლახან განაცხადა, „ლაციოზე“ უკეთეს გუნდს ვერსად ვიპოვი და ამიტომ სულაც არ ვაპირებ სხვაგან გადასვლასო.

— სანამ ფეხბურთის თამაში შემეძლება, „ლაციოში“ დავრჩები, ამ გუნდთან თითქოს სამუდამოდ ვარ დაკავშირებული და ჩემი სურვილია, კარიერა მისი მაისურით დავასრულო. რომში დავიბადე, გავიზარდე და ფეხბურთის თამაში აქ დავიწყე, იტალიის ჩემპიონი უკვე გავხდი, დიდი შანსი გვაქვს, რომ ევროთასებზეც სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ. მითხარით, უკეთეს ადგილას სად უნდა წავიდე? — განაცხადა „ლაციოს“ კაპიტანმა.

ნესტას მსურველ უპირველეს კლუბად მადრიდის „რეალი“ სახელდება. იტალიელის ამ განცხადებით, „სამეფო კლუბის“ აწყობილ გეგმებს ჯერჯერობით საფუძველი შეერყა, თუმც ერთიცაა, ფლორენტინო პერესის მეცადინეობით ლუიშ ფიგუ „ბარსელონადან“ გადავიდა „რეალში“ და ნესტას „ლაციოდან“ გადაბირება განუხორციელებელი ეგებ სულაც არ იყოს.

# ბერძნებმა ფიფას მეროკავშირი დაუპირისპირეს



გეორგიოს ფლორიდისი

**გუშინ** ვწერდით, რომ ფიფა საბერძნეთს ყველა საერთაშორისო ტურნირიდან მოკვეთით დაემუქრა. მიზეზი საკმაოდ უცნაურია — იქაური ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორ მიტროპულოსი ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს და მალე სასამართლოს წინაშეც წარდგება, ფიფა კი საბერძნეთის ხელისუფლებას ეუბნება, ამ კაცის არათუ დასჯის, ფედერაციის საქმიანობით დაინტერესების უფლებაც არ გაქვთო.

გუშინვე ვწერდით, ბერძნები ფიფას მუქარას ხვალ გასცემენ პასუხსო. აი, პასუხიც: „ჩვენი ქმედება სრულად შეესაბამება სპორტის შესახებ ევროკანონმდებლობას. ვფიქრობთ, ფიფა არასწორადაა ინფორმირებული და როცა საქმის არსს გაარკვევს, ინციდენტი ამით ამოიწურება“.

ამ საპასუხო წერილის ავტორი საბერძნეთის სპორტის მინისტრი გეორგიოს ფლორიდისია. სწორედ მან გაილაშქრა პირველმა შარშან მიტროპულოსის წინააღმდეგ და საქმე აგერ, სადამდე მივიდა.

ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა სპორტის მინისტრი — მიზანში ზუსტად მოარტყა. გავიხსენოთ, რომ ფიფა საკუთარ თავს ყველა ქვეყნის კანონებზე მაღლა აყენებს და როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, მისი განუსაზღვრელი ჰეგემონიის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას მხოლოდ ევროკავშირი ახერხებს. ჰოდა, მინისტრმაც თავის წერილში ევროკანონი ახსენა, ფიფას მიანიშნა, დაგვსჯით და ევროკავშირთან გექნებათ საქმეო.

## პორტუგალია

**თასის ნახევარფინალი**

**ბოავიშტა 0:1 მარიტიმუ**

0:1 პაულუ სერჟიუ (37)

## საბერძნეთი

თასის ნახევარფინალის წილისყრა

პაოკ — აპოლონი (ა); ირაკლისი — ოლიმპიაკოსი

I მატჩები — 4 აპრილს, საპასუხოები — 11 აპრილს

## გერმანია

**II ბუნდესლიგა**

გადადებული მატჩები

**ქემნიცი 0:1 ობერჰაუზენი**

0:1 ა. ვებერი (76)

**კიკერსი 1:1 ალენი**

0:1 არნოლდი (71), 1:1 კარნევალე

# ზიზუ წითლებზე და ქორებზე

**ფაქტი:** ზინედინ ზიდანი ფიფამ 2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, მაგრამ იმავე პერიოდში ჩატარებულმა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვამ ევროპაში საუკეთესოდ ლუიშ ფიგუ სცნო, ზიდანს კი მეორე ადგილი ხვდა.

კომენტარი: საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი თვლის, რომ ევროპული „ოქროს ბურთი“ მას ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების საშემოდგომო ეტაპზე მიღებულმა ორმა წითელმა ბარათმა დააკარგინა.

გავიხსენოთ წითელი ბარათით დასჯის შემთხვევები. პირველი სექტემბერში მოხდა, როდესაც „იუვენტუსი“ ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიას“ ეთამაშებოდა, ხოლო მეორედ ის ოქტომბერში, „ჰამბურგთან“ შეხვედრის დროს გააძევეს მოედნიდან. როგორც მოგახსენეთ, ორივე მატჩი ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპისა გახლდათ.

„როგორც ჩანს, საბედისწერო როლი სწორედ ამ გაძევებებმა ითამაშა“ — თქვა ზიზუმ გაზეთ „ეკიპისთვის“ ამასწინათ მიცემულ ინტერვიუში — „თუმცა ეს უკვე წასული ამბავია, მე კი ის კაცი ვარ, მომავალი რომ აინტერესებს“.

ეს, რაც შეეხებოდა გაძევებებსა და ოქროს ვერმიღებულ ბურთს, ხოლო, რაც შეეხება ხმებს იმის თაობაზე, რომ ვარსკვლავი „იუვენტუსიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლას ფიქრობს, მასზე ასე ითქვა:

„ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მომბეზრდა. ყველა ამ გადასვლაზე ლაპარაკობს ყველა ჩემს გარდა“.

ჩვენი მხრივ ვადასტურებთ, რომ ზიდანის „რეალში“ გადასვლის თემა მართლაც ძველია და მას საფუძვლად „რეალისა“ და ზიდანის სიძლიერის გარდა ფეხბურთელის მეუღლის ესპანელობა უდევს.

და, რადგანაც ესპანელები ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ზიდანი და საფრანგეთის ნაკრები იქითა კვირაში, ვალენსიაში, ესპანეთის ეროვნულ გუნდთან მართავენ ამხანაგურ შეხვედრას, თუმცა, მანამდე შინ, „სტად დე ფრანსზე“ იაპონელებს მასპინძლობენ.






ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი

# სერ, მატყუარა ყოფილხართ!

**ახლახან** გაზეთ „სანში“ ჩელსელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკთან ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელიც უმალ სკანდალის მიზეზად იქცა.

ფეხბურთელი, რომელიც „ბოავიშტასთან“ ერთად თბილისში ყოფნისას უბრალოდ ჯიმად მოიხსენიებოდა, ამბობს: „ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ცუდ დროს ცუდ ადგილას მოვხვდი. რაღაც, საოცრად არ მიმართლებს. ჯერ იყო და მადრიდის „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონიდან გავარდა, ახლა „ჩელსიც“ ცხრილის შუაშია გაჩხერილი. მთავარი კი ისაა, რომ ყველაფერი მე მბრალდება. ვარჯიშისას თანაგუნდელები რაღაც სისულელეებს მეუბნებიან, ეი, ჯიმი, სანამ გადმოხვიდოდი, მაგრად ვთამაშობდითო. ვერ გამიგია, რას მერჩიან.

მე 28 წლის ვარ და გუნდში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად ვითვლები. ეს ძალიან ცუდია — „ჩელსი“ კარგი გუნდია, მაგრამ გადაბერებული — დროა, ახალგაზრდებიც ათამაშონ“.

ჯიმი ფლოიდის ამ სიტყვებმა კლუბში აღშფოთება გამოიწვია. დირექტორმა კოლინ ჰატჩისონმა თქვა, ყველაფერს გამოვიკვლევთ და ვიღაცა დაისჯებაო.

ჰატჩისონი ვიღაცაში ჰასელბაინკს ან „სანს“ გულისხმობს. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელმა განაცხადა, რაც გაზეთში წერია, არ მითქვამსო. „სანი“, ცხადია, საპირისპიროს ამტკიცებს. ფაქტი კი ერთია — ამათში ვიღაც მატყუარაა, თან მშიშარაც.

# იღბალმა ენდი გორამს ჩემპიონთა ლიგა აჩუქა



ენდი გორამი

**წინა** უქმეებზე სერ ალექს ფერგიუსონმა „ლესტერთან“ მატჩში კარის დაცვა ახალბედა პოლ რაჩუბკას ანდო. მანჩესტერელთა მწვრთნელი რა ხანია, ექსპერიმენტებს ატარებს და, მინდორზე უჩვეულო შემადგენლობები გაჰყავს, მაგრამ რაჩუბკას შემთხვევაში ეს იძულებითი ცვლილება იყო.

ზედ მატჩის წინ, მოთელვაზე დაშავდა ფაბიენ ბარტეზი, ხოლო რაიმონდ ვან დერ გოუმ უფრო ადრე მიიღო ტრავმა. ჰოდა, ფერგიუსონიც რაჩუბკას ამარა დარჩა.

ხეირიანად არავინ იცის, თუ როგორი მეკარეა რაჩუბკა — ლესტერელებს მისთვის წესიერად არც დაურტყამთ და, აბა, საიდან გვეცოდინება. მაგრამ ასეა თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგაში ისე შორსაა გაჭრილი, რომ ნებისმიერი კლასის მეკარით თამაშის უფლება აქვს — მისი დამწევი მაინც არავინაა. აი, ჩემპიონთა ლიგა კი სხვა საქმეა. „მანჩესტერი“ „ბაიერნთან“ შეხვედრებში პოლ რაჩუბკას დაყენებას ვერ ბედავს. ამიტომ, კლუბმა უფრო საიმედო მეკარეების მომჯობინებამდე ახალი კაცის აყვანა გადაწყვიტა.

„მანჩესტერმა“ შოტლანდიურ „მოზერუელს“ 143 ათასი დოლარი გადაუხადა და სამთვიანი იჯარით ენდი გორამი წაიყვანა.

36 წლის გორამი ადრე „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშობდა, შოტლანდიის ნაკრების წევრიც იყო და გამოცდილება არ აკლია. „მოზერუელის“ გენერალურმა მენეჯერმა პეტ ნევინმა თქვა, ეჭვი არ მეპარება, რომ გორამი „მანჩესტერს“ არ დაალალატებს, რადგან მისებრ უსწრაფესი რეაქცია მსოფლიოში არც ერთ მეკარეს არა აქვს, თანაც ისეთი გამოცდილია, ახალ გუნდთან შეგუება არ გაუჭირდებაო.

მაგრამ „მოზერუელს“ რა ეშველება უგორამოდ? „გორამს ჩემპიონთა ლიგის მოგების ბრწყინვალე შანსი მიეცა და გადასვლაზე უარს ვერ ვეტყვით“ — თქვა ნევინმა.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა




„რეინჯ როვერი“, რომელმაც სიმართლე იცის

# არა იცრუო თუ არ ჩაუშვა?

## დაბერი ზნეობასა და გაგებას შორის გაიჭყლიტა

**ქალაქურად** თუ გავარჩევთ, გუშინწინ „ლიდსის“ მცველმა მაიკლ დაბერიმ სასამართლოზე თავისი უახლოესი მეგობარი ჩაუშვა, მაგრამ თუ ამ საკითხს ქრისტიანულ ამბავში განვიხილავთ, გუშინწინ „ლიდსის“ მცველმა მაიკლ დაბერიმ ათი მცნების ზედმიწევნით განხორციელება გადაწყვიტა და არ იცრუა. შეგახსენებთ, რომ ლიდსელი ფეხბურთელების გახმაურებულ პროცესზე დაბერიმ აღიარა, რომ ჯონათან ვუდგეიტმა წიხლებით სცემა აზიელ სტუდენტს.

„პირველივე, ცხელ გულზე მიცემული ჩვენების შემდეგ მოსვენება დავკარგე. მაშინ ყველაფერზე ვცრუობდი — ვთქვი, რომ შინ ტაქსით დავბრუნდი და რომ ჯონათანს თვალი ჩალურჯებული ჰქონდა“ — ამბობს დაბერი.

მეორე და მესამე დაკითხვისას, როგორც ახლა გაირკვა, ზანგი მცველი უკვე კლუბის ადვოკატის პიტერ მაკკორმიკის რჩევით ტყუოდა: „მან მითხრა, პირველ ჩვენებას თუ მიაწვები, საუკეთესო გამოსავალი იქნებაო. თანაც გამაფრთხილა, ახლა ჩვენების შეცვლა შენთვისაც ცუდია, სიცრუის გამო თავად მოგიწევს დიდი ჟიურის წინაშე წარდგომაო და მერე სიტყვა ციხეზე ჩამოაგდო“. დაბერი დაშინდა და მორიგ ორ დაკითხვაზეც იცრუა.

საქმის განხილვის დაწყებიდან ორი თვის თავზე მაიკლმა საკუთარი ადვოკატი აიყვანა, რასაც სასამართლოში მოწმედ გამოძახება მოჰყვა. სიმართლეც იქ გაირკვა. „მინდა განვაცხადო, რომ აქამდე ბევრი რამ მოვიტყუე — თქვა დაბერიმ — ახლა მივხვდი, რომ იდიოტურად ვიქცეოდი და იმას ვიცავდი, რისი დაცვაც შეუძლებელი იყო“. მან აღიარა, რომ ვუდგეიტმა წიხლები ურტყა უკვე უგონოდ მყოფ პაკისტანელს, შინ კი საკუთარი „რეინჯ როვერით“ დაბრუნდა და ჩხუბის სხვა მონაწილეებიც სახლებში ჩამოარიგა.

აღმოჩნდა, რომ ამ ჩვენების მიცემის წინ დაბერიმ ვუდგეიტი მოსათათბირებელ ოთახში გაიყვანა და თავისი გადაწყვეტილება ამცნო: „ვუთხარი, რომ სიმართლის თქმას ვაპირებდი. ჯონათანი შოკში ჩავარდა და მთხოვა, ამას ნუ იზამო“ — განუცხადა მოწმემ ჟურნალისტებს და დააყოლა: „ძალიან მძიმე დღე მქონდა. არ მინდა, რომ ჩემს მეგობარს ამის გამო უსიამოვნება შეხვდეს, მაგრამ სხვაგვარად აღარ შემეძლო“.






მაიკლ დაბერმა ჯონათან ვუდგეიტს ხელი დაადო

მართალი ჩვენების მიცემისთანავე დაბერის ვუდგეიტის ადვოკატი მიეჭრა და ამათი დიალოგი ასე წარიმართა:

**ადვოკატი:** თქვენ და ვუდგეიტი ერთი ამპლუის ფეხბურთელები ხართ. რომელი უფრო კარგ ფორმაში ხართ?

**დაბერი:** ულაპარაკოდ, ჯონათანი.

ადვოკატი: თუ ვუდგეიტი რაღაც მიზეზის გამო ვერ მოხვდა ძირითადში, მის ადგილს თქვენ დაიკავებთ?

**დაბერი:** მე მისებრ თამაში არ ძალმიძს.

**ადვოკატი:** ხომ არ არის თქვენი ამჟამინდელი ჩვენების მიზეზი ის, რომ ვუდგეიტმა ველარ ითამაშოს და ამით თქვენ შანსი მოგეცეთ?

**დაბერი:** ვუდი შევცვალო? ჯერ ერთი, ის ჩემზე გაცილებით ძლიერია და მთავარი — ის ჩემი საუკეთესო მეგობარია.

**ადვოკატი:** თქვენ ცრუობთ.

**დაბერი:** მე აქ იმისთვის ვდგევარ, რომ სიმართლე ვთქვა.

...სასამართლო გრძელდება.

**გიგა კოგახიძე**



# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

✱ პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.

✱ გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**



ჰერმესი დიონისეთი



„ლეონიდაიიონი“ — ანტიკური ოლიმპიური სტადიონი

# კურციუსის გათხრილმა მშვენიერება გვანახა

## წლეულს 120 წელიწადი სრულდება ოლიმპიის გათხრების დამთავრებიდან

**მსოფლიოს** საზოგადოებრიობა აღშფოთებული და შეძრწუნებულია თალიბების მიერ ბამიანეში (ავღანეთი) ქვაში ნაკვეთი ბუდას ორიათასწლოვანი ვეება ქანდაკების განადგურებით. მრავალი პროტესტისა და თხოვნის მიუხედავად, თალიბები რამდენიმე დღის განმავლობაში ჭურვებს უშენდნენ და მეთოდურად ანადგურებდნენ მსოფლიოს კულტურის ამ ერთ-ერთ განძს, რომელიც უდიდესთაგანი (53 მეტრი სიმაღლის) საკულტო ნაგებობა იყო მსოფლიოში.

სამწუხაროდ, ისტორიას მრავლად ახსოვს მსგავსი ბარბაროსობა, მათ შორის სპორტული ნაგებობების მიმართ გამოჩენილიც. ამ მხრივ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი შავი ლაქაა ბრწყინვალე ოლიმპიის დანგრევა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერატორის თეოდოსიოს I-ის განკარგულებით განხორციელდა, რითაც წერტილი დაესვა ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებს. ეს მოხდა ქრისტეშობიდან 394 წელს, როცა თეოდოსიოს I-მა ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. მაშინ მილანის ეპისკოპოსმა ამბროაზუმ, ვისაც „ქრისტიანობის ნამუსად“ რაცხავდნენ, იოლად შთააგონა იმპერატორს, რომ ოლიმპიური თამაშები წარმართობის მთავარი წყაროა და იგი უნდა დავივიწყოთო. თეოდოსიოს I-მა ოლიმპიური თამაშები აკრძალა და მისი ბრძანებით ოლიმპიაც დაინგრა.

ოლიმპიას შემდგომ არც მომდევნო თაობებმა დააკლეს ხელი. ერთი წლის მერე ოლიმპიაში ბიზანტიელები და გოთები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ეკვეთნენ ერთმანეთს, რამაც იქაურობა უფრო ააოხრა. 31 წლის მერე „სარბიელზე“ გამოჩნდა თეოდოსიოს მეორე და, რაც პირველსა და იმ ბრძოლებს გადაურჩა, მისი ბრძანებით გააცამტვერეს. განადგურდა არა მხოლოდ სტადიონი, იპოდრომი და სხვა სპორტული სარბიელი, არამედ უმშვენიერესი ზევსის ტაძარი, ხოლო ფიდიასის უბრწყინვალესი ზევსის ქანდაკება, სამყაროს შვიდიდან ერთ-ერთი საოცრებათაგანი, კონსტანტინოპოლში გადაიტანეს და საბოლოოდ აღარც ის შემორჩა.

გავიდა საუკუნე და ოლიმპია აღარც ბუნებამ დაინდო. მას ჯერ ორმა მიწისძვრამ მოუღო ბოლო, მერე კი იაქურობა ადიდებულმა მდინარემ მიწასთან გაასწორა, უფრო სწორედ, მისი ნანგრევები ქვესკნელში აღმოჩნდა.

მიუხედავად ბრწყინვალე ოლიმპიის ასეთი შორეული ისტორიისა და შავი დღეებისა, მის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოგვეპოვება. ამაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუმადლოდეთ ბერძენ მწერალ პავსანიას და გერმანელ არქეოლოგ ერნსტ კურციუსს (1814-1896).

პავსანიამ ძველი წელთაღრიცხვით II საუკუნეში მოინახულა ოლიმპია და მისი სრული სურათი დაგვიტოვა თავის წიგნში „ელადის აღწერა“, ერნსტ კურციუსმა კი 1875-81 წლებში ოლიმპია გათხარა და თვალნათლივ გვიჩვენა ყოველივე ის, რაც პავსანიამ მოგვითხრო.

წლეულს 120 წელი სრულდება კურციუსის იმ არქეოლოგიური გათხრების დასრულებიდან, რომელმაც ძალზე შეავსო ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ უძველეს ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ ანტიკური ხანის ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, ქანდაკებაზე, საერთოდ კულტურაზე.

ჩვენი თვალსაწიერის გამფართოებელი ერნსტ კურციუსი იყო ბერლინისა და ჰეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორი, ანტიკურობის უთვალსაჩინოესი ისტორიკოსი და არქეოლოგი. მისი მთავარი სამეცნიერო ნაშრომები სწორედ ამ სფეროებს განეკუთვნება, აგრეთვე ძველი საბერძნეთის ტოპოგრაფიას. ოლიმპიასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები სწორედ კურციუსის სახელთან ასოცირდება.

საბერძნეთში არქეოლოგიური გათხრების იდეის განხორციელება, რამდენადაც დღეს ჩვენთვისაა ცნობილი, ფრანგ ბენედიქტელ ბერსა და სწავლულს დონ ბერნარ დე მონკოფონს განუზრახავს. 1707 წელს გამოქვეყნებულ მის წიგნში „საბერძნეთის პალეოგრაფია“ ვკითხულობთ მოწოდებას ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ღვთის მსახურმა დე მონკოფონმა ამით „გამოისყიდა“ ეკლესიის ცოდვები, რაც „თავის დროზე“ ოლიმპიური თამაშების აკრძალვასა და ოლიმპიის დანგრევაში გამოიხატა.

1729 წელს დონ ბერნარ დე მონკოფონმა თავისი მეგობარი ეპისკოპოსი კორფუ შეაგულიანა, მაგრამ შესაფერისი სპეციალისტები ველარ მონახა. წლების მერე მათ მხარში ამოუდგა ხელოვნების ისტორიკოსი, გერმანელი იოაჰიმ ვინკელმანი. მას ჰერკულანუმისა და პომპეის არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობით ამ საქმეში გამოცდილება მიეღო. ვინკელმანმა ოლიმპიის გათხრებისთვის პრაქტიკული საქმიანობა იკისრა. ოლიმპიის ექსპედიციისთვის სახსრების შეგროვებაც დაიწყო, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების დაწყებას ბედი მაინც არ ეწერა. ვინკელმანი 1768 წელს ყაჩაღებმა მოკლეს, როცა საბერძნეთიდან შინისკენ მიემგზავრებოდა.

მართალია არქეოლოგები დიდხანს იკვლევდნენ საბერძნეთის ტერიტორიას, მაგრამ იმის გამო, რომ ოლიმპია მრავალი მეტრის სიღრმეზე იყო ჩამარხული, ვერა და ვერ დაედგინათ, თუ კონკრეტულად სად უნდა ეწარმოებინათ გათხრები. პირველ კვალს ვინკელმანის მკვლელობამდე ორი წლით ადრე მიაგნეს, როცა ერთმა თურქმა ოქსფორდელ არქეოლოგ რიჩარდ ჩანდლერთან საუბარში შემთხვევით ახსენა, რომ დასახლება მირაკთან ახლოს მონასტრების მრავალი ნანგრევია, ხოლო მის შემოგარენში შეიძლება მოჭიდავეთა გამოსახულებიანი ქანდაკებების პოვნაცო.

მოგვიანებით, 1766 წელს ჩანდლერმა დაწვრილებით აღწერა ოლიმპიაში ოლიმპიელი ზევსის ტაძარი, რითაც საფუძველი ჩაუყარა მის მეცნიერულ შესაწვლას.

1824 წელს ინგლისელი არქეოლოგის, ლორდ სტანჰოფის ხელმძღვანელობით მდინარე ალფეოსის სანაპიროზე დაიწყო გათხრები და ოლიმპიის პირველი გეგმაც შედგა.

ხუთი წლის მერე, 1829 წელს საფრანგეთის სამხედრო ექსპედიციამ გენერალ მეისონის მეთაურობით დაიწყო ოლიმპიის პირველი სერიოზული გათხრები.

მაშინ მხატვრული ღირებულების რამდენიმე ნაპოვნი ნივთი პარიზში გაგზავნეს, რამაც ბერძენი პატრიოტები ალაშფოთა და გათხრებისას ერთი ფრანგი ჯარისკაცი მოჰკლეს კიდეც. ამის მერე კერძო პირთა მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს, ბუნებრივია, დიდი შედეგები არ მოუტანია, მაგრამ ფრანგი ჯარისკაცების მიერ იმ აღმოჩენის ცნობამ უმალ მთელი ევროპა მოიარა და ყველა ოლიმპიაზე ალაპარაკდა. არქეოლოგებმა, ფილოლოგებმა თუ ისტორიკოსებმა უძველესი ოლიმპიური თამაშების შესახებ ანალებში დაიწყეს ცნობების შეგროვება და სტატიებიც ერთიმეორის მიყოლებით გამოაქვეყნეს.

ფრანგ ჯარისკაცთა იმ აღმოჩენისას ერნსტ კურციუსი თხუთმეტი წლისა იყო. რამდენიმე წლის მერე, როცა სტუდენტი გახდა, ოლიმპიის არქეოლოგიურ გათხრებზე დაიწყო ფიქრი და ოლიმპიური თამაშების იდეამაც ფრიად გაიტაცა. 1832 წელს მან ოლიმპიის ნანგრევები მოინახულა და უფრო მეტად ალენთო მისი გათხრების იდეით, რასაც მოუღლელად უწევდა პროპაგანდას მდიდართა სალონებშიც და მინისტრთა კაბინეტებშიც.

1852 წლის 10 იანვარს კურციუსი თავისი გატაცების შესახებ ბერლინში გამოვიდა მოხსენებით, რომლის სათაური იყო „ოლიმპია“. მის დასკვნით ნაწილში ისტორიული სიტყვები წარმოთქვა: „ის, რაც იქ ბნელეთით მოცულ სიღრმეში ძევს, ჩვენი ცხოვრების ცხოვრებად უნდა იქცეს. და თუ ღმერთს დედამიწაზე გავრცელებული აქვს სხვა მცნებები, რომლებშიც გაცხადებულია უფრო მეტად დიადი რამ, ვიდრე ოლიმპიური დაზავება, მაშინაც კი ოლიმპია ჩვენთვის წმინდა მიწად დარჩება და უთუოდ ჩვენს დროში უნდა გადმოვიტანოთ უფრო გაჩირაღდნებული ცეცხლის ელვარება, წინაპართა ამაღლებული კულტურა, შეუპოვარი პატრიოტიზმი, ხელოვნებისთვის თავგასაწირად მზადყოფნა, მათი შეჯიბრებებით გამოწვეული სიხარული, რომლებიც ყველა ცხოვრებისეულ ძალას აჭარბებს“.

ამ ლექციას ესწრებოდა გერმანიის კაიზერი ფრიდრიხ ვილჰელმ IV. კურციუსი მოხსენებით აღფრთოვანებულ კაიზერს უთქვამს: ეს ადამიანი ისე დამაჯერებლად საუბრობდა ჩვენთვის შორეულ თემაზე, რომ მომინდა ხელგაწვდილს მონაწილეობა მიმეღო არქეოლოგიური ექსპედიციისთვის სახსრების შეგროვებაშიო.

მაგრამ კაიზერის აღფრთოვანებიდან 23 წელიწადი ისე მიილია, რომ კურციუსის სტუდენტური ოცნების განხორციელებას საშველი არა და არ დაადგა. გერმანიისა და საბერძნეთის მთავრობებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების და ამ სახელმწიფოთა უფლებების განსაზღვრის მერე, როგორც იქნა, 1875 წლის 22 სექტემბერს დაიწყო ოლიმპიის არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 1881 წელს დასრულდა, რაც მილიონ მარკამდე დაჯდა. მაგრამ ეს თანხა წყალში გადაყრილი როდი აღმოჩნდა. იმ ექვსი წლის განმავლობაში კურციუსი, რომელმაც უნივერსიტეტში პედაგოგობაც დაიწყო, პავსანიას წიგნის მეგზურობით ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორი გახდა.

პირველი გათხრების პირველივე შედეგებმა არქეოლოგებს ფრთები შეასხა და იმავდროულად გულიც გაუტეხა. ურიცხვი ისტორიული ძეგლები განადგურებული და გაძარცული იყო, ზოგიც ფრაგმენტულად შემორჩენილი.

ოლიმპიაში, ყველა ელინის სათაყვანო წმინდა ადგილზე, სადაც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ უამრავი ბერძენი იკრიბებოდა სხვადასხვა სახელმწიფოდან თუ ზღვის გაღმა კოლონიებიდან, რათა ოლიმპიურ თამაშებზე ეცადათ ბედი, პაექრობათა ხილვითაც დამტკბარიყვნენ და ზევსის საკურთხეველზე მსხვერპლიც შეეწირათ, კურციუსმა აღმოაჩინა უამრავი ხელოვნებისა და არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში. ამ ნანგრევების, მათი ფრაგმენტებისა თუ გადარჩენილი ნიმუშების წყალობით ნათელი გახდა, რომ პავსანიას ისინი „ელადის აღწერაში“ საოცრად ზუსტად აუსახავს. ესენი იყო: იბონ ელადელის ნაგებად მიჩნეული ბრწყინვალე ტაძარი (ძვ. წ. V ს), სადაც სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ფიდიასის მეხთამტეხელის ქანდაკება იდგა, ჰერას ტაძარი (ძვ. წ. V ს), თორმეტი საგანძური (ძვ. წ. VI-V ს), პორტიკი ექო (ძვ. წ. II ს). აქვე იყო სახელგანთქმული პრაქსიტელეს „ჰერმესი დიონისეთი“ (დაახლოებით ძვ. წ. 340 წ.), პეონიას მიერ გამოძერწილი გამარჯვების ქალღმერთი ნიკე (ძვ. წ. 425-420), გამომწვარი თიხის ჭურჭელზე გამოსახული ზევსის მიერ ჰანიმედის გატაცების სცენა (ძვ. წ. დაახლ. 470წ)...

არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უთვალავი ანტიკური ხანის ნივთი, მათ შორის 130-ზე მეტი ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნაკეთობა, 10 ათასამდე ბრინჯაოს ფილა წარწერებით, ათასობით კერამიკული საგანი, ბარელიეფები, ზევსის ტაძრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტონები (ძვ. წ. 468-456 წ.წ.)...

იპოვეს იპოდრომი (730-336 წ), „ლეონიდაიიონი“ (ოლიმპიური სტადიონი IV ს), რომელიც თავდაპირველად 20, შემდეგ კი 45 ათას მაყურებელს იტევდა, თავად სარბიელის ზომა კი 213X29 მეტრი იყო.

არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სტადიონზე შესასვლელი, ნახეს კოლონადებით გარშემორტყმული გიმნასიის ნანგრევები, რომელთაც ჰქონდათ სარბენი ბილიკები, სატყორცნი სექტორი, საჭიდაო არენა...

მიაკვლიეს პალესტრას, რომლის ცენტრში ყოფილა ნაგებობები (66X66 მ.მ.), სადაც ტარდებოდა სხვადასხვა სახის ვარჯიშები, ბურთაობა... აქვე ყოფილა ჰიგიენური პროცედურებისთვის განკუთვნილი ოთახები.

გათხრების შედეგებზე პუბლიკაციები სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდებოდა ევროპის იმდროინდელ პრესაში. ცოცხლდებოდა ლეგენდები, მითები, გადმოცემები, რასაც ამყარებდა არქეოლოგთა ნაპოვნის მატერიალური საფუძველი.

კურციუსის ამ აღმოჩენებმა ერთიორად გაზარდა ანტიკურობისადმი და ოლიმპიური თამაშების აღორძინებისადმი ინტერესი. ეს ინტერესი უფრო გაალვივა 1882 წელს გამოცემულმა კურციუსის წიგნმა „ოლიმპიის საკურთხეველი“, რომელიც პირველ ოლიმპიურ ლიტერატურად ითვლება.

ერნსტ კურციუსი 82 წლისა გარდაიცვალა. გარდაიცვალა 1896 წელს, სწორედ იმ წელიწადს, როცა მისი ოცნება ახდა და თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა.

ახლა ამ თამაშების ისტორიას, ანტიკურსაც და თანამედროვესაც, მათ პრობლემებს სწავლობენ ოლიმპიაში მდებარე საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიაში და იქაურ თუ უცხოურ მუზეუმებშიც, სადაც დაცულია ერნსტ კურციუსის არქეოლოგიური ექსპედიის მიერ აღმოჩენილი 40 000-ზე მეტი ნივთი თუ საგანი, რასაც ექსპონატებად მოიხსენიებენ.



ზევსის ტაძრის ნანგრევები



ჰერას ტაძრის ნანგრევები

**ავთანდილ გურასაშვილი**

**გიგა გურასაშვილის ფოტოები**



ბოლო დროს საკალათბურთო კულუარებში ძალიან ხშირად ახსენებენ ზაზა ფაჩულიას. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სტამბოლის „ულქერის“ 17 წლის ცენტრის დიდ ნიჭსა და უნარზე დღეს აღარავინ კამათობს, ფაჩულიაზე ახლა სულ სხვა კუთხით საუბრობენ. ერთნი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ზაზამ თურქეთის მოქალაქეობა მიიღო და ამით, ფაქტობრივად, ეროვნულ ნაკრებში თამაშიც იუარა. მავანნი კი გაიძახიან, რომ იგი მხოლოდ საკალათბურთო მოქალაქეობაზე დათანხმდა თურქებს, რადგან ეს ნაბიჯი მის შემდგომ კარიერას წაადგებათ. ერთი სიტყვით, ზაზა ფაჩულიას ირგვლივ ათასი ჭორ-მართალი აგორდა და გადავწყვიტეთ, პირადად დავკავშირებოდით ჩვენებურს:

# ერთნახევრად მოქალაქე ფაჩულიამ მოასწრო

## ზაზა ულქერშიც შინაური კაცია და საქართველოს ნაკრებშიც

— შევიტყვე, რომ საქართველოში არასწორმა ინფორმაციამ ჩამოაღწია. ვიცი, ჩემს გათურქებაზე მანდ ბევრი ლაპარაკობს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს სიმართლე არ გახლავთ. სინამდვილეში მოხდა ის, რომ თურქებს საკალათბურთო მოქალაქეობის მიღებაზე დავყაბულდი და ეს საქართველოს ნაკრებში თამაშში ხელს ვერ შემიშლის.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ეს მართლაც ასეა?**

— ასი პროცენტით. თუ მწვრთნელები ნაკრებში გამომიძახებენ, თურქებს უფლება არა აქვთ, რომ შემაფერხონ. სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, წინდაწინვე განვჭვრიტე ყოველივე. ამ საკითხში ჩემმა მენეჯერმა ფიბა-ც ჩარია და ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდა. ერთი სიტყვით, ჩემსა და „ულქერის“ ხელმძღვანელობას შორის ფიბა დგას და თურქები ზედმეტს ვერ გაბედავენ. ურჩობის შემთხვევაში მკაცრად დაისჯებიან.

**— მაინც რამ გაიძულა თურქეთის საკალათბურთო მოქალაქეობის მიღება?**

— აქაური წესის თანახმად, მოგეხსენებათ, კლუბს უფლება აქვს, მხოლოდ სამი უცხოელი იყოლიოს. „ულქერს“ ლეგიონერთა ლიმიტი ამოწურული აქვს, ამიტომ ვამჯობინე საკალათბურთო მოქალაქეობა მიმეღო, რადგან ამ გზით ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება უფრო გამიადვილდება. ვფიქრობ, ჩემთვის კარგიცაა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მივიღე. ახლა „ულქერში“ უცხოელად აღარ ვითვლები და ნაკრებშიც ხომ უპრობლემოდ შემიძლია ჩამოსვლა.

სხვათა შორის, ჩემს შემდეგ ძალიან ბევრმა კალათბურთელმა მოიწადინა თურქეთის საკალათბურთო მოქალაქეობის მიღება. არიან კლუბები, რომელთაც სურთ, თავიანთ მოთამაშეებს ანალოგიური ხერხით ლეგიონერის სტატუსი ჩამოაშორონ, მაგრამ თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ ახლახან გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც საკალათბურთო მოქალაქეობის მიმღებს ეროვნულ ნაკრებში თამაში ეკრძალება. შეიძლება ითქვას, მოვასწარი.

**— გამოდის, ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ნაკრებს უყოყმანოდ დაეხმარებით...**

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აუცილებლად ჩამოვალ. ცნობისთვის, ნაკრების თამაშები თურქეთში ფინალური სერიის დაწყების პერიოდს ემთხვევა, მაგრამ, მე, ცხადია, ეროვნულ გუნდში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაში მირჩევნია. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ თბილისში, სპორტის სასახლეში ხომ ცხოვრებაში ბურთიც არ მისვრია კალათში.

**— „ულქერს“ ფინალში გასვლის დიდი შანსი აქვს. ამ შემთხვევაში თურქები, ალბათ, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ნაკრებში არ გამოგიშვან.**

— ამიტომ საჭიროა, წინასწარვე დავიჭიროთ თადარიგი. სულ ცოტა ერთი თვით ადრე მაინც უნდა გავაფრთხილოთ თურქები, რათა მერე არაფერი მოიმიზეზონ. ამ საკითხს მხოლოდ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ვერ გადაწყვეტს, საქმეში ფიბა-ც უნდა ჩავრთოთ, ამ ხერხით თურქებს ყველა გზას მოვუჭრით.

**— „ულქერის“ სუპერლიგაში თამაშს კლუბის ხელმძღვანელობა როგორ აფასებს?**

— ყველანი ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. ბოლო ტურში შინ „ლიეტუვოს რიტასთან“ დამარცხებამ ბევრად გაგვიფუჭა საქმე. ეს მატჩი რომ მოგვეგო, მერვედფინალში ბელგიის „ოსტენდეს“ შევხვდებოდით, ახლა კი ურთულესი გზა უნდა გავიაროთ, რათა ოთხთა ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვოთ. ამ ეტაპზე იტალიურ „სკავოლინის“ რომც მოვუგოთ, მერე თელ ავივის „მაკაბის“ უნდა შევებათ. ამ გუნდის დამარცხების შანსები კი მიზერულია.

**— მაშ, პესიმისტურად ხართ განწყობილნი...**

— ასეა, სადღეისოდ „ულქერს“ არ შესწევს იმის ძალა, „მაკაბი“ დაამარცხოს.

**— რით ახსნით თქვენი გუნდის არცთუ დამაჯერებელ თამაშს?**

— „ულქერს“ ხეირიანი გამთამაშებელი არ ჰყავს. კლუბის პრეზიდენტით დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა უკმაყოფილოა უკანახაზელების თამაშით. ეს მართლაც სუსტი რგოლია „ულქერში“ და წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზადაც ყველა ამას ასახელებს.

**— გამოდის, დაკომპლექტებისას შეცდომები დაუშვეს.**

— სერქან ერდოგანის სახით „ულქერს“ ძლიერი გამთამაშებელი ჰყავდა, მაგრამ ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, დოპინგ-კონტროლზე გამოიჭირეს. „პანათინაიკოსთან“ თამაშის შემდეგ მე და ერდოგანი შეგვამოწმეს და მას დოპინგი აღმოუჩინეს. კლუბმა იგი დაითხოვა, ფედერაციამ კი ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ამის მერე გუნდს ორი უკანახაზელიღა დარჩა, მაგრამ თუტკუ აჩიკეც და ორჰან გიულერიც არამცთუ სუპერლიგაში, თურქეთის ჩემპიონატშიც ძალიან სუსტად გამოიყურებიან.

**— ადგილობრივ ჩემპიონატში, ალბათ, მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ...**

— „თოფაშის“ დაშლის შემდეგ „ულქერს“ ჩემპიონობის კარგი შანსი გაუჩნდა და ამას გამოყენება უნდა. ცხადია, ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი შედეგი წარუმატებლობად ჩაგვეთვლება, უმთავრესი ბრძოლები, ვფიქრობ, „ეფესთან“ მოგვიწევს.

**— პირადად თქვენი თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— კმაყოფილი ვერ ვიქნები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოედანზე ძალიან ცოტა ხანს მიწევს ყოფნა. თამაში პერიოდულად მიხდება, ხან ზედიზედ ორ მატჩში მათამაშებს მწვრთნელი მურათ დიდინი, მერე კი სამ შეხვედრაში სათადარიგოებში დამსვამს. ყოველივე ცხადია, მიუღებელია ჩემთვის.

**— თუ არ ვცდები, წინა სეზონში უფრო ხშირად გენდობოდათ დიდინი.**

— ყოველ შემთხვევაში, შარშან არანაკლებს მათამაშებდა, ვიდრე წლეულს.

**— მაინც რა არის მიზეზი?**

— უპირველესად, ალბათ, ის, რომ ამ სეზონში ბევრად უკეთ თამაშობენ „ულქერის“ მაღლები და წინა ხაზში კონკურენციაც გაცილებით გამძაფრდა. რა გასაკვირია, რომ დიდინი გამოცდილებს უფრო ხშირად ენდობა.

**— უახლოეს მომავალში, ალბათ, გაგიჭირდებათ მყარად მოიკიდოთ ფეხი „ულქერის“ ძირითადში...**

— რაც მთავარია, მონდომებული ვარ. ვარჯიშისას თავს არ ვზოგავ და, ვფიქრობ, ყოველივე უნაყოფოდ არ ჩაივლის. ერთი რამ ვიცი, ამ ზაფხულს ძალიან მაგრად უნდა ვივარჯიშო და ერთიორად ავიმაღლო ოსტატობა. გაისად სულ ცოტა, ათი წუთი მაინც უნდა დავყო საშუალოდ მოედანზე.

**— საქართველოს ნაკრების მეტოქეებზე რას გვეტყვით?**

— მოწინააღმდეგეებს, მართალია, საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ გარკვეული აზრი მაინც მაქვს. ვერ წარმომიდგენია, ისეთი რა გუნდი უნდა ჰყავდეს აზერბაიჯანს, მისი დამარცხება გაგვიჭირდეს. არც ბულგარეთი უნდა იყოს მაინცდამაინც ძლიერი, ეს მათ ჩემპიონატსაც ეტყობა. ამ სამეულიდან, ვფიქრობ, ბელარუსი აშკარად მაღლა დგას, მაგრამ მისი ძლევაც ნამდვილად შეგვიძლია. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფიდან ევრო 2003-ის შესარჩევ ეტაპზე გაღწევა რომ ვერ მოვახერხოთ, თავი მოგვეჭრება.

**გიორგი ბიძაშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონი დაკოჭლდა



REUTERS მილუოკიდან

მილუოკი — ლეიკერსი. კობი ბრაიანტმა კოჭი იღრძო

21 მარტი

**მილუოკი 107:100 ლეიკერსი**

მილუოკი: კასელი (27), რობინსონი (26), ალენი (16)

ლეიკერსი: ონილი (36 ქულა, 13 მოხსნა), ფოქსი (19)

**შარლოტი 111:95 ტორონტო**

შარლოტი: მაშბურნი (27), ვესლი (26)

ტორონტო: კარტერი (23)

**ბოსტონი 77:97 სან ანტონიო**

ბოსტონი: პირსი (37)

სან ანტონიო: ანდერსონი (26), დანკანი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**ინდიანა 96:95 ორლანდო**

ინდიანა: მილერი (22), როუზი (12 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა)

ორლანდო: არმსტრონგი (29 ქულა, 12 პასი), მაკგრეიდი (25)

**მინესოტა 109:97 დალასი**

მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება), შერბიაკი (23), მიჩელი (20)

დალასი: ნოვიცკი (30)

**გოლდენ სტეიტი 94:99 ვაშინგტონი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (23), კამინგსი (17), ბლეილოკი (16 ქულა, 15 პასი, 5 ჩაჭრა)

ვაშინგტონი: ჰამილტონი (28), ალექსანდერი (26), დევისი (21)

**მაიამი 109:81 ჩიკაგო**

მაიამი: გრანტი (22), მეისონი (15 ქულა, 12 მოხსნა)

ჩიკაგო: კროუფორდი (17)

21 მარტი უიღბლო დღე გამოდგა „ლეიკერსისთვის“. ჩემპიონი ცენტრალური დივიზიონის პირველადგილოსან „მილუოკი ბაქსს“ სტუმრობდა და გარდა იმისა, რომ წააგო, პირველი მექულე, კობი ბრაიანტი დაკარგა განუსაზღვრელი ვადით. იმ დღეს ბრაიანტი ამაოდ დაშვრა, ჩვეულად ჯიგრიანად კი ირბინა, მაგრამ ბევრიც ვერაფერი მოიხვეჭა, 15 სროლიდან ოთხი ჩააგდო და 13 ქულასღა მოუყარა თავი, რაც მისი საშუალო შედეგიანობის ნახევარიც არაა. თამაშის ბოლო წუთზე კი სულ წახდა მისი საქმე — ცუდად დაეცა და მოედნიდან გასატანი შეიქნა. სახელდახელოდ გასინჯვის შემდეგ მილუოკელმა ექიმებმა დაადგინეს, კოჭი იღრძოო, ის კი ვერ თქვეს, საბოლოოდ როდის მოუშუშდება. უმისოდ „ლეიკერსმა“ წააგო, მაგრამ ამას ვინ ჩივის. ჩემპიონებს ის უფრო აშფოთებთ, პლეი ოფი კარს მოგვადგა და ვაითუ, მას კობი ფორმიდან ამოვარდნილი შეხვდესო.

ბრაიანტისგან განსხვავებით, იმ დღეს თავიდან ბოლომდე რიგიანად ირჯებოდა „ლეიკერსის“ კიდევ ერთი ლიდერი შაკილ ონილი, რომლის კარგი თამაში წლეულს ძვირი სანახავი გამხდარა. შაკმა სულ ბლევრი ადინა „მილუოკის“ ვაი-მეფარეებს და მასპინძელთა სამ ცენტრს 15 ქულა ჩააგდებინა. თუმცა მისმა თავგამოდებამ ოდენ პირველ მეოთხედში გამოიღო ნაყოფი, რომელიც 25:15 დარჩა „ლეიკერსს“. „მილუოკი“ კი თავისი ღონიერი უკანა ხაზით ქებულა და მასპინძელ დაბალთა კასელ-ალენ-რობინსონის პირველ მეოთხედში უქმად მყოფმა ტრიომ შემდეგლა გამოიღო ხელი. მასპინძელთა დაბალმა ჩაუქმა ბიჭებმა მალევე ჩამოართვეს უპირატესობა წინ გაჭრილ ჩემპიონს და ბოლო მეოთხედი რომ იწყებოდა, „მილუოკი“ ოთხი ქულით, 72:68 იგებდა.

ანა, ჩემპიონი ამას როგორ შეეგუებოდა და ბოლო მეოთხედში ლოსანჯელესელებს ცდა არ დაუკლიათ, თუმც მასპინძლები მედგრად იდგნენ და „ლეიკერსი“ ამაოდ დაშვრა, სამ ქულაზე ახლოს ვერ მიუახლოვდა მეტოქეს. შეხვედრის დასკვნით ეტაპზე სტუმრებმა ბრაიანტიც დაკარგეს და მასთან ერთად გამარჯვების ბოლო იმედსაც გამოეთხოვნენ.

გამარჯვებულთა თავკაცმა ჯორჯ კარლმა შეგირდები შეაქო, ყოჩაღი ბიჭები მყავანან, რადგან საწყის მეოთხედში რამდენიმე გაფუჭებულმა სროლამ ვერ დათრგუნა და მერე სრულად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობებიო და იქვე დაურთო, კარგი გუნდი კი ვართ, მაგრამ საჩემპიონო კალიბრამდე ბევრი გვიკლია, ასეთ თამაშებში მიღებული გამოცდილება ნამდვილად დაგვეხმარება, ისეთები გავხდეთ, ოქროს შევწვდეთო.

„ლეიკერსზე“ ბევრად უკეთ წაუვიდა საქმე კიდევ ერთ ბობოლას და ოქროზე დაგეშილ „სან ანტონიოს“, რომელსაც ბოსტონში იქაურ „კელტებთან“ იოლი გასეირნება გამოუვიდა. ამ სეზონში „სან ანტონიოს“ ლიდერი ტიმ დანკანი მატჩში საშუალოდ 21 ქულას თუ ჰყაბულდება, არადა, ბევრად მეტის მოხვეჭა კი შეუძლია. ამაზე დანკანმა უწინ განაცხადა, მე და დევიდი (რობინსონი) ხშირად ინიციატივას სხვა თანაგუნდელებს ვუთმობთ, რათა მათი შნო ბოლომდე დავინახოთო. შედეგად ამ ბოლო დროს დანკანის ნაცვლად მეტოქეებს მთავარ მარბიელად უკანახაზელი დერიკ ანდერსონი ევლინება, ეს კი დანკან — რობინსონის „წყვილ კოშკად“ წოდებულ დუეტს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს და პლეი ოფისთვის ჯანმრთელად ინახავს. ყველაფერი ამის დასტურია „ბოსტონთან“ შეხვედრაც, სადაც დანკანმა თავიდან გამოიდო თავი, მაგრამ როცა ყველაფერს ნათელი მოეფინა, მეტოქე ანდერსონს გადაულოცა და მანაც ხელი როდი დააკლო.

„ბოსტონის“ მარცხით სარგებლობა არ დააყოვნა „ინდიანა პეისერზმა“, შინ „ორლანდოს“ მოუგო და აღმოსავლეთში მერვე ადგილზე მყარად მოიკიდა ფეხი. „ბოსტონს“ კი ჯერჯერობით მის ზურგსუკან, მეცხრე ადგილზე მოუწევს ყურყუტი, რაც პლეი ოფს მიღმა დარჩენას ნიშნავს.

ისე, „ინდიანას“ ეს გამარჯვება ციდან არ ჩამოუვარდა. ორლანდოელებმა მასპინძლებს დიდი ჯაფა დააყენეს, განსაკუთრებით მათმა გამთამაშებელმა დარელ არმსტრონგმა გაუშროთ სისხლი. „ინდიანამ“ მისგან 29 ქულა მიიღო საკუთარ კალათში და აქედან ცხრა ბოლო მეოთხედში სამი სამქულიანის სახით, მაგრამ არმსტრონგმა მაშინ ვერ ივაჟკაცა, როცა მის გუნდს ყველაზე უფრო სჭირდებოდა. ინდიანელთა საბედნიეროდ, ბოლო წამებზე, როცა ანგარიში 96:95 იყო, არმსტრონგმა სამქულიანი ააცილა.

მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია „მინესოტამ“, რომელიც დასავლეთში მერვე ადგილზე დაფუძნებულა და მეცხრეადგილოსან „ჰიუსტონს“ ერთი ნაბიჯით უსწრებს. „მგლები“ სტაბილურობის განსახიერებას, „დალასს“ მასპინძლობდნენ და მისი 213-სანტიმეტრიან გერმანელ თავდამსხმელ დირკ ნოვიცკისგან 30 ქულა მიიღეს, თუმც სხვა სტუმრები სანაქებოდ შებოჭეს და ამან გაამართლა. „მგლებმა“ გაიმარჯვეს და ამაში ლომის წილი კევინ გარნეტმა დაიდო.

სულ ჩაიძირა „გოლდენ სტეიტი“, რომელსაც გამარჯვება საოცნებო გაუხდა — ოქროსშტატელმა „მეომრებმა“ მანამდე ზედიზედ ათი შეხვედრა წააგეს, 21 მარტს კი მათსავით უშნო „ვაშინგტონსაც“ ვერ სძლიეს და მორიგი მარცხი იწვნიეს.

**ირაკლი ფირცხალავა**

## საპორტას თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები. 19-21 მარტი

**უნიქსი (რუსეთი) 95:87 მარუსი (საბერძნეთი)**

უნიქსი: გრაჩოვი (18), იუდინი (18), კორნევი, კუზრაკოვი (5), მიკსი (10), პაშუტინი (6), სამოილენკო (7), ფისბი (9), იაილო (22)

მარუსი: ამაია (22), ევტიმოვი (9), ფალეკასი (8), ლოგოთეტისი (1), მარმარინოსი, მასლარინოსი (22), ნიკოლაიდისი (10), ოლივერი (3), ჯურჯუმისი (12)

**პამესა (ესპანეთი) 69:72 შალონი (საფრანგეთი)**

პამესა: ალსტონი (14), ალვარესი (7), ბურგოსი, დიურამი (4), ჰოპკინსი (22), ლუენგო (9), მალუენდა (2), მილერა (8), როდილია (3)

შალონი: გიფა (4), გულიაში (11), ჰეი, ჯექსონი (19), ლი (6), ოსტროვსკი (4), ოუენსი (11), ტომიჩი (16), ვესპასიენი (2)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 27 მარტს*

AFP ფოტოქრონიკა



პამესა — შალონი. პამესელი ვიქტორ ლუენგო ანდრე ოუენსისთვის ბურთის წართმევას ლამობს

## კორაჩის თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები. 21 მარტი

**რიკო (ჰოლანდია) 46:59 უნიკახა (ესპანეთი)**

რიკო: ბენეში (2), ბოლდევაინი (1), ჰარისი (6), ლივერსტი (8), მაკგატრი (13), მიკალაიუნასი, როუფმორსტი (4), სპინკსი (3), ვან ალტენი (4), ფრედსი (6)

უნიკახა: აბრამსი (10), ხურადო (6), ლომინი (13), მილერი (2), პეტრუშკა, ფილიპი (7), როდრიგესი (2), სონკო (2), ვასკესი (11), ვესისი (6)

**ჰემოფარმი (იუგოსლავია) 71:59 ატლონი (ბელგია)**

ჰემოფარმი: ჯოვოვი (5), ივანოვიჩი (5), პეკოვიჩი (16), პოპოვიჩი (4), სავიჩი, ვიდაჩიჩი (12), ვუჩინიჩი (2), ვუჩევიჩი (28)

ატლონი: ბაერტი (6), ბიერეგაარდი, დიუპონი (7), გუდფელოუ (7), ჰიუგერი (16), მაგინი (16), მალბეკი, ვან დერ ხლუისი (8)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 28 მარტს*



# ბურთის მომტანი ვარსკვლავი

კი ბისკეინი (აშშ)
ერიქსონის ღია პირველობა
ჰარდი. საპრიზო 6,15 მილიონი $

**ვაჟები**

„ერიქსონის ღია პირველობა" დიდი სლემის ტურნირების შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ყველაზე დიდი და პრესტიჟული ჩემპიონატია, 32-32 განთესილითა და 96-96 მოთამაშით. მაიამის სანაპიროსთან მდებარე კუნძულზე მოწყობილ შესანიშნავ საჩოგბურთო ცენტრს მაყურებლები და პოპულარობა არასოდეს ჰკლებია, და ამაზე არც ძველი მთავარი სპონსორის — „ლიპტონის" მობილური ტელეფონების კომპანია „ერიქსონით" შეცვლას უმოქმედია.

რაკი პირველი წრიდან ყველა განთესილი თავისუფალი გახლავთ, ოთხშაბათ-ხუთშაბათს კორტები ძირითადად ჩამოწერილ ვეტერანებს, იმედისმომცემ იუნიორებს ან მყარ საშუალო დონის ჩოგბურთელებს დაეთმო.

ნიკოლას კიფერი ამ კატეგორიებისგან არც ერთს არ განეკუთვნება. შარშან ამ დროს 23 წლის გერმანელი მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი იყო და კიდევ უფრო დაწინაურებაზე აცხადებდა პრეტენზიას, სანამ ტრავმებმა კარგა ხნით არ გამოიყვანა მწყობრიდან. ნიჭიერ, მაგრამ უემურ და ზარმაც კიფერს ძველი პოზიციების დაბრუნება ძალიან უჭირს და ხეირიან თამაშს ხშირად უგიგრო, უნიათო მატჩებს უნაცვლებს.

პირველ წრეში შვეიცარიელი მიხალ კრატოხვილის წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრაც გერმანელის არასტაბილურობის კარგ მაგალითად გამოდგება — კიფერმა პირველი ხელის ბოლოს ცოტა ხნით წაუძინა, მეორეში საკუთარ თავზე გაღიზიანებულმა მეტოქეს ბლდვირი ადინა, მესამეში კი რის ვაი-ვაგლახით მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე — 5:7, 6:0, 6:4.

„ისეთი პირობები იყო, თამაში ძალიან ჭირდა — გერმანელმა მოგვიანებით ყველაფერი ძლიერ ქარს დააბრალა — კიდევ კარგი, ცენტრალურ კორტზე ვითამაშე, რომელიც სხვებთან შედარებით უკეთაა დაცული. ისე, თავს მაინც სამაგლად ვგრძნობდი, აუტანლად უბერავდა და საქმეს ერთიორად გვიძნელებდა".

მომდევნო მატჩში კიფერს კიდევ უფრო მძიმე გამოცდა ელის უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონ პიტ სამპრასის სახით: „ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კონჭისყრაში გამიმართლა. პიტთან ასე ადრე თამაშს, აბა, ვინ ისურვებს, ის ახლაც პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელია. იმედია, როგორმე მის გამწარებას შევძლებ".

18 წლის ენდი როდიკი ბევრ ტურნირზე ჯერაც ბურთის მომტან ბიჭში ეშლებათ, თუმცა თანამემამულეები მასში აგას-სამპრასის ღირსეულ შემცვლელსა და ამერიკული ჩოგბურთის ყველაზე დიდ იმედს ხედავენ. „ენდის დიდი მომავალი ელის. მას შესანიშნავი პირველ-მეორე მოწოდება, მძლავრი ფორჰენდი აქვს და მეტად სწრაფია, მეტი მოთამაშეს არაფერი მოეთხოვება" — ასე აფასებს მას ანდრე აგასი.

თავზოტორა ლასვეგასელი ბოკა რატონში თავისი გელფრენდის, შტეფი გრაფის სახლში სტუმრობისას მახლობლად მცხოვრებ ენდი როდიკთან ეზოში მდებარე კორტზე ხშირად ვარჯიშობს და ახალგაზრდა კოლეგას რჩევებითაც ამარაგებს. „ერთად ვვარჯიშობთ თუ არა, მომდევნო კვირაში ტურნირზე აუცილებლად წარმატებით ვასპარეზობ, ანდრე ძალიან მეხმარება. ყოველ სამ-ოთხ თვეში ერთი თავით ვაუმჯობესებ თამაშს, ასე თუ გავაგრძელე, მალე ბევრს მივაღწევ".



ენდი როდიკზე ამერიკა დიდ იმედს ამყარებს

კი ბისკეინში აურაცხელი ნათესავისა და მეგობრის თვალწინ როდიკმა თავი არ შეირცხვინა და კლასიფიკაციით 51-ე ებრაელი ჰარელ ლევი 6:3, 6:2 დაჯაბნა. ამასთან, ამერიკელმა ერთი მოწოდება 224 კმ/სთ სიჩქარით გაისროლა, მაჩვენებელი, რის გაუმჯობესებასაც ტურნირზე ერთადერთი გრეგ რუზეცკი თუ შეძლებს.

„ATP ტურზე თამაში მიადვილდება, ასაკით უფროსი მეტოქეები ჩემზე გაცილებით დიდ ზეწოლას გრძნობენ, 18 წლის ბიჭთან წაგება არავის სურს — მიაჩნია როდიკს, თუმცა თანამემამულეებს მოუწოდებს, მისგან და მისი თანატოლებიდან მეტისმეტი არ მოითხოვონ — ამერიკელები ჩვეულნი არიან თავისიანებისგან ადრეულ წარმატებებს, მაგრამ თანამედროვე ჩოგბურთში ეს ძალიან ძნელია. სამპრასისა და აგასის შეცვლა, რომლებიც, ალბათ, ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეები არიან, თითქმის შეუძლებელია".

**პირველი წრე:** მაქს მირნი (ბელარუსი) — ტოდ მარტინი (აშშ) 2:6, 6:3, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 4:6, 7:6(8:6), 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:3, 6:2; ალექს კალატრავა (ესპანეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 1:6, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორეა) 6:4, 6:4; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 3:6, 6:2, 6:0; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:2; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) 6:3, 6:4

**ქალები**

დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:2, 6:0; ივა მაიოლი (ხორვატია) — მარია ხოსე მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:4; რიტა გრანდე (იტალია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:4, 7:5; მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 6:4, 7:6(7:5); ელენა ბოვინა (რუსეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:4, 7:6(7:5)

**ავთანდილ სვანიძე**



**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

21 მარტი

**კაროლინა 1:0 ბუფალო (0:0 1:0 0:0)**

1:0 ტანაბე 37(5)

**ატლანტა 3:4 ტამპა (2:1 0:2 1:1)**

1:0 კალოუ 7(13), 2:0 შტეფანი 9(8), 2:1 ლეკავალიე 13(21), 2:2 რ. ჯონსონი 25(7), 2:3 მოდინი 32(30), 3:3 ვახილევსკი 49(4), 3:4 რიჩარდსი 54(20)

**მინესოტა 0:0 ნეშვილი**

**დალასი 8:0 ანაჰაიმი (0:0 3:0 5:0)**

1:0 ჰალი 25(34), 2:0 მარშალი 27(13), 3:0 ჰალი 34(35), 4:0 კინი 41(9), 5:0 ჰალი (36), 6:0 მიკლინი 50(4), 7:0 ჰალი 54(37), 8:0 მარშალი 58(14)

**კოლუმბუსი 1:1 ვანკუვერი (0:1 0:0 1:0 0:0)**

0:1 დ. სედინი 12(20), 1:1 ნილსონი 50(4)

**ტორონტო 1:3 ფლორიდა (0:0 1:2 0:1)**

0:1 პ. ბურე 23(56), 0:2 ადამსი 24(9), 1:2 რობერტსი 37(27), 1:3 ადამსი 54(10)

**ნიუ ჯერსი 4:0 რეინჯერსი (0:0 2:0 2:0)**

1:0 მოგილნი 34(35), 2:0 არნოტი 36(17), 3:0 სტივენსი 54(9), 4:0 არნოტი 57(18)

**ფენიქსი 2:5 ოტავა (0:4 2:1 0:0)**

0:1 ალფრედსონი 5(21), 0:2 არვედსონი 6(16), 0:3 დეკალი 8(11), 0:4 არვედსონი 11(17), 1:4 ლეტოვსკი 25(6), 2:4 მანცელიუსი 33(11), 2:5 ზიგმანი 36(30)

# ჰალს გაახსენდა, ვისი შვილია

**ლოს ანჯელესი 0:7 ედმონტონი (0:3 0:0 0:4)**

0:1 ბრიუერი 8(5), 0:2 კომრი 12(7), 0:3 უეიტი 18(21), 0:4 რ. მიურეი 42(15), 0:5 კომრი 54(8), 0:6 ჰორკოფი 55(9), 0:7 რ. სმიტი 59(26)

ნჰლ-ის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ თითქმის ვერც ერთი მატჩის შედეგს ვერ იწინასწარმეტყველებ. ზოგჯერ ისე მოულოდნელად მთავრდება ესა თუ ის პაექრობა, საქმეში ჩახედულ კაცსაც კი გაუკვირდება. მაგრამ მაინც, თუმც ძალიან იშვიათად, ისეც ხდება, რომ გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევს.

ნიუ ჯერსისა და რეინჯერსის მორიგი ორთაბრძოლა სწორედ ასეთი გამონაკლისი იყო. წლეულს ნიუჯერსელები ისეთ ჩინებულ ფორმაში არიან, რომ გრანდებსაც კი შანსს არ უტოვებენ. მაგალითად კოლორადოსთან 6:3 ამასწინანდელი მოგებაც გამოდგება. და თუ ბობოლებს ასე უჭირთ, რაღა რეინჯერსს დაადგებოდა კარგი დღე. ისედაც უღიმღამოდ მოთამაშე ნიუიორკელები აგერ უკვე 22 შეხვედრაა, მეზობლებს ვერ ამარცხებენ და ახლაც თავიდანვე განწირულნი ჩანდნენ მანამდე 11 მატჩის მომგებ მასპინძლებთან. ის ფაქტიც ვერ ისარგებლეს, რომ ნიუჯერსელები საგარეო სერიით გადაღლილები იყვნენ და ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრეს. თავიდან, შეხვედრის პირველ ნახევარში, გუნდები ერთობ პასიურობდნენ, მაგრამ გაიღვიძეს „ეშმაკებმა" და ნათელი გახდა, რომ რეინჯერსი ვერც ამჯერად გადაურჩებოდა მარცხს. სტუმართა კარის სიახლოვეს მოწყობილი ჩანმოკლე შტურმი საკმარისი გამოდგა, რათა მათ ფარ-ხმალი დაეყარათ და ორი წუთის განმავლობაში მატჩის ბედიც გადაწყდა. თუმც ნიუიორკელები ამას სულაც არ შეუშფოთებიათ და ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდერმაც, რომელსაც ბოლო ორ პერიოდში მხოლოდ ხუთი დარტყმის მოგერიება მოუხდა, კარიერაში 50-ე მშრალი მიითვალა. მისმა გუნდმა კი ზედიზედ მე-12 მოგებით ლიგის ისტორიაში მეხუთე შედეგი გაიმეორა. საუკეთესო მიღწევა პიტსბურგს ეკუთვნის, რომელმაც 1993 წელს ზედიზედ 17 მატჩი მოიგო.

როგორც ჩანს, მალაზე მოუვიდა ბრეტ ჰალი. ოდესღაც, სენტ ლუისში თამაშისას, „ოქროს ბრეტს" 70 გოლის გატანაც არ უჭირდა, 1989 წელს სულაც 86 შეაგდო, მაგრამ მაშინ მთელი გუნდი მასზე იყო აწყობილი. დალასი კი, მოგეხსენებათ, სულ სხვა სტილს ქადაგებს. ამიტომ ჰალი უფრო მეტად დაიტვირთა, თავისუფლება შეეზღუდა და ამან მისი შედეგიანობა შეამცირა. მაგრამ ბობი ჰალის ვაჟი თავისას აუცილებლად გააკეთებდა და შესაფერისი დროც დაუდგა. როგორც კი „ვარსკვლავები" დივიზიონის პირველ ადგილზე აღზევდნენ, ბრეტს მეტი გასაქანი მიეცა და თუ ოტავასთან შეხვედრაში ჰეთ თრიქი შეასრულა, ახლა, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად, პოკერი გააზერხა. ამით მან ერთბაშად ორ სახელოვან სნაიპერს — მარიო ლემიესა და სტივ აიზერმანს გაუსწრო და 648 შაიბით მე-7 ადგილზე გადაინაცვლა.

**სამველ ლარიბიანი**

**ბომბარდირები:** *იაგრი (პიტსბურგი) 105(43+62), საკიკი (კოლორადო) 103(44+59), პ. ბურე (ფლორიდა) 88(56+32), კოვალიოვი (პიტსბურგი) 87(41+46), ფორსბერგი (კოლორადო) 84(27+27), სტრაკა (პიტსბურგი) 84(24+60), ელისონი (ბოსტონი) 81(29+52), რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 80(35+45), ელიაში (ნიუ ჯერსი) 79(32+47), იაშინი (ოტავა) 78(33+45), პალფი (ლოს ანჯელესი) 78(30+48), უეიტი (ედმონტონი) 77(21+56), ოუთსი (ვაშინგტონი) 77(13+64)*

# სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. 39-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | ბარნლი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 002 | ბირმინგემი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 003 | ვესტ ბრომვიჩი-ტრანმერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 004 | ბარნსლი-ჯილინგემი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 39-ე ტური

23 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ნოტსი-პიტერბრო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 006 | რედინგი-ბრისტოლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 007 | ბრენტფორდი-ლუტონი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 23.45 | 008 | ოლდემი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 24.00 | 009 | კემბრიჯი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 010 | როვერსი-სუინდონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.00 | 011 | ოქსფორდი-როტერჰემი | 5,0 | 3,4 | 1,55 |
| 17.00 | 012 | პორტ ვეილი-უიგანი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 013 | ბორნმუთი-ბერი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 014 | უოლსოლი-უიკომბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 39-ე ტური

23 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 015 | როჩდეილი-ჩელტენემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23:45 | 016 | საუთენდი-ჰალი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.45 | 017 | კარლაილი-ტორკი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.45 | 018 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 019 | პლიმუთი-ჰარტლპული | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 16.00 | 020 | ექსეტერი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 16.00 | 021 | მაკლსფილდი-ბლეკპული | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.00 | 022 | დარლინგტონი-სკანთორპი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 023 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 024 | ჰალიფაქსი-ბარნეტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ლეიტონი-იორკი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 32-ე ტური

23 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 026 | ნიორი-ბოვე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 027 | აიაჩო-კაენი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 028 | ლე მანი-კრეტეი | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 23.00 | 029 | მონპელიე-გენიონი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 030 | ანჟე-ლავალი | 3,5 | 3,0 | 1,95 |
| 23.00 | 031 | ლე ავრი-ლორიანი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 032 | მარტიგი-ნიცა | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 033 | შატორუ-ნიმი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 034 | კანი-ვასკეალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალია. სერია B. 28-ე ტური

23 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 035 | მონცა-ტერნანა | 2,5 | 2,5 | 3,0 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 036 | ანკონა-პესკარა | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 037 | კოზენცა-ჯენოა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 18.00 | 038 | პიაჩენცა-სალერნიტანა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 039 | პისტოიეზე-კალიარი | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 040 | რავენა-ტრევიზო | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 041 | სამპდორია-კროტონე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 042 | ტორინო-ჩიტადელა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 18.00 | 043 | ვენეცია-სიენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |

26 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 044 | ემპოლი-კიევო | 2,6 | 2,5 | 2,9 |

### იტალია. სერია C1/a. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 045 | არეცო-ლუკეზე | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 046 | ბრეშელო-რეჯანა | 2,4 | 2,4 | 3,3 |
| 18.00 | 047 | ლეკო-ალძანო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 048 | ლუმეცანე-ალესანდრია | 1,45 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 049 | მოდენა-კომო | 1,85 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 050 | სპალ-ალბინოლეფე | 1,75 | 2,5 | 5,6 |
| 18.00 | 051 | სპეცია-ჩეზენა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 052 | ვარეზე-კარარეზე | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 053 | პიზა-ლივორნო | 2,6 | 2,4 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/b. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 054 | აველინო-სავოია | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 055 | ატლეტიკო-ნოჩერინა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 18.00 | 056 | ბენევენტო-მესინა | 3,0 | 2,4 | 2,6 |
| 18.00 | 057 | დი სანგრო-ფიდელის ანდრია | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 058 | ფერმანა-ასკოლი | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 059 | ჯულიანოვა-ვიტერბეზე | 2,1 | 2,4 | 4,0 |
| 18.00 | 060 | აკილა-პეზარო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 061 | ტორესი-პალერმო | 2,5 | 2,4 | 3,1 |
| 19.00 | 062 | ლოდიჯანი-კატანია | 2,9 | 2,5 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 063 | კორდობა-ატლეტიკო | 2,8 | 2,9 | 2,4 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 064 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,3 | 2,6 | 3,2 |
| 16.00 | 065 | უნივერსიდადი-ბადახოსი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 20.00 | 066 | ტენერიფე-ფეროლი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 20.00 | 067 | ესტრემადურა-ბეტისი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 068 | ეიბარი-კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 069 | მურსია-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 070 | სალამანკა-უელვა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 20.00 | 071 | ლეიდა-ხეტაფე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 072 | ალბასეტე-ელჩე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 073 | სევილია-ლევანტე | 1,55 | 3,1 | 7,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 074 | ჰელმონდი-ზვოლე | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 075 | კამბური-ტელსტარი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ბელგია. II დივიზიონი. 29-ე ტური

23 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 076 | ლომელი-მოლენბეკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 077 | ინგელმუნსტერი-დენდერლეუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 078 | მონსი-დესელი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.00 | 079 | ჰეუსდენი-გეელი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 080 | ლიეჟი-ტურნჰაუტი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 081 | რუზელარე-ჰეკელგემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 082 | დაინცე-მაასლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 083 | სტრომბეკი-ოსტენდე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 084 | სერკლი-ტინენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 085 | ბელინცონა-ვილი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 086 | ბადენი-დელემონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 087 | კარუჟი-კრინსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 088 | სოლოთურნი-ლოკარნო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 089 | ვანგენი-თუნი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### ჩეხეთი. თასის 1/8 ფინალი

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 090 | ბლშანი-ბოჰემიანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 091 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 18.00 | 092 | ოპავა-ტეპლიცე | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 093 | ბანიკი-პრჟიბრამი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 094 | სლავია-სინოტი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 18.00 | 095 | ბრნო-იაბლონეცი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.30 | 096 | ბუდეიოვიცე-დრნოვიცე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 501 | აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 502 | ჩრდილოეთ ირლანდია-ჩეხეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 19.00 | 503 | შვედეთი-მაკედონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 504 | შვედეთი-მაკედონია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 505 | ნორვეგია-პოლონეთი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 506 | შოტლანდია-ბელგია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 507 | ინგლისი-ფინეთი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 508 | ინგლისი-ფინეთი 0:2 | 1,7 | 4,0 | 2,5 |
| 20.00 | 509 | რუსეთი-სლოვენია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 510 | რუსეთი-სლოვენია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 511 | ბულგარეთი-ისლანდია | 1,35 | 3,8 | 7,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 512 | ბულგარეთი-ისლანდია 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 21.00 | 513 | ლუქსემბურგი-ფარერები | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 514 | კვიპროსი-ირლანდია | 5,3 | 3,3 | 1,6 |
| 21.00 | 515 | უკრაინა-ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 516 | უკრაინა-ბელარუსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 517 | სომხეთი-უელსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 518 | ხორვატია-ლატვია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 519 | ხორვატია-ლატვია 0:2 | 1,6 | 4,0 | 2,8 |
| 22.00 | 520 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 22.30 | 521 | რუმინეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 522 | მალტა-დანია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 23.00 | 523 | უნგრეთი-ლიტვა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 524 | გერმანია-ალბანეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 525 | გერმანია-ალბანეთი 0:2 | 1,65 | 4,0 | 2,6 |
| 23.15 | 526 | იუგოსლავია-შვეიცარია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 527 | იუგოსლავია-შვეიცარია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 528 | ანდორა-ჰოლანდია | 20,0 | 10,0 | 1,02 |
| 23.30 | 529 | ბოსნია-ავსტრია | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 00.30 | 530 | ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 1,01 | 15,0 | 30,0 |
| | 531 | ესპანეთი-ლიხტენშტაინი 0:4 | 1,6 | 4,0 | 2,8 |

**შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)**

**23 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.00 | 551 | სომხეთი-უელსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 552 | ბულგარეთი-ისლანდია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 17.30 | 553 | კვიპროსი-ირლანდია | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 18.00 | 554 | მალტა-დანია | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 18.00 | 555 | უნგრეთი-ლიტვა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.30 | 556 | ხორვატია-ლატვია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 557 | იუგოსლავია-შვეიცარია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 558 | უკრაინა-ბელარუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.00 | 559 | ბოსნია-ავსტრია | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 20.30 | 560 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 561 | შვედეთი-მაკედონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.30 | 562 | რუმინეთი-იტალია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 563 | გერმანია-ალბანეთი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 564 | ჩრდილოეთ ირლანდია-ჩეხეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.30 | 565 | შოტლანდია-ბელგია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 24.00 | 566 | ინგლისი-ფინეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**24 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.00 | 567 | აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 16.00 | 568 | რუსეთი-სლოვენია | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 569 | ნორვეგია-პოლონეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**25 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 570 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ამხანაგური მატჩი**

**24 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 532 | საფრანგეთი-იაპონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**I ტაიმი/ძირითადი დრო**

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**24 მარტი**

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 601 | ჩრდ. ირლანდია-ჩეხეთი | 7,0 | 12,0 | 20,0 | 8,0 | 5,3 | 3,4 | 30,0 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 602 | ნორვეგია-პოლონეთი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 603 | შოტლანდია-ბელგია | 3,3 | 12,0 | 25,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 604 | რუსეთი-სლოვენია | 1,9 | 14,0 | 30,0 | 2,9 | 5,3 | 14,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22:00 | 605 | თურქეთი-სლოვაკეთი | 2,1 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,3 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.30 | 606 | რუმინეთი-იტალია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.15 | 607 | იუგოსლავია-შვეიცარია | 1,8 | 14,0 | 30,0 | 2,8 | 6,0 | 14,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 608 | ბოსნია-ავსტრია | 4,4 | 12,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,7 | 25,0 | 12,0 | 3,4 |

**კალათბურთი**

**23 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ინდიანა-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.00 | 802 | ტორონტო-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 803 | ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 804 | მინესოტა-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 805 | ჩიკაგო-შარლოტი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 806 | მილუოკი-ორლანდო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 807 | ფინიქსი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 808 | ლეიკერსი-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**24 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 809 | კლივლენდი-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 810 | დალასი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 811 | იუტა-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 812 | სიეტლი-ჰიუსტონი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 813 | გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

**25 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 814 | მაიამი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 21.00 | 815 | ორლანდო-ინდიანა | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 816 | ტორონტო-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 817 | მილუოკი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 24.00 | 818 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 00.30 | 819 | მინესოტა-ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 03.30 | 820 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

**26 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 821 | ფილადელფია-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 822 | ჩიკაგო-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 823 | ფინიქსი-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 824 | იუტა-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 825 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 07.00 | 826 | სიეტლი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 827 | გოლდენ სტეიტი-ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |

**ჰოკეი**

**23 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | კაროლინა-პიტსბურგი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 902 | ნიუ ჯერსი-ვანკუვერი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 04.30 | 903 | ფლორიდა-ვაშინგტონი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 05.30 | 904 | დალასი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |

**24 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 905 | ბოსტონი-კოლორადო | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 22.00 | 906 | რეინჯერსი-დეტროიტი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 22.00 | 907 | კოლუმბუსი-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 908 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 03.00 | 909 | ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 910 | ბუფალო-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 911 | ტორონტო-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 912 | მონრეალი-ატლანტა | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 05.00 | 914 | ნეშვილი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 915 | ფინიქსი-ედმონტონი | 1,75 | 4,0 | 2,6 |

**25 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 916 | ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 23.00 | 917 | მინესოტა-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 918 | ჩიკაგო-კალგარი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 919 | რეინჯერსი-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 920 | დალასი-სენტ ლუისი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 921 | ფინიქსი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |

**26 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 922 | ოტავა-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.00 | 923 | კაროლინა-მონრალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 924 | ატლანტა-ბუფალო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 06.00 | 925 | ედმონტონი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 07.30 | 926 | ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |


## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

დღეს, 23 მარტს
**მარნეულში**
გაიხსნება «კროკოს» ბიურო
მისამართი: რუსთაველის 39


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ მჭედლიშვილი



სამი წლის წინ რუმინეთმა და ტონგამ საქართველოს მსოფლიოს თასზე მოხვედრის ოცნებას ჩაილურის წყალი დაალევინეს. შარშან, „ევროპის ერთა თასის" პირველ გათამაშებაში თასი რუმინეთს გაგატანეთ, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი მიზეზები ჰქონდა. მანამდე იყო სამოქალაქო ომი, სხვა პოლიტიკური კატაკლიზმები, მოყოლებულ რაგბისთვის არავის სცხელოდა. ჩვენი დღევანდელი სტუმრის, ზურაბ მჭედლიშვილის და მისი თაობის ზრდის პროცესიც ამ ამბებმა გადაიყოლა. ჩვენს მორაგბეებს ფაქტობრივად არჩევანიც არ ჰქონდათ — ან რაგბის უნდა გამოთხოვებოდნენ, ანაც უცხოეთში უნდა გაექრათ ფანჯარა. ასეც მოხდა და ჩვენი ნაკრების მორაგბეთა უმეტესობა საფრანგეთის სხვადასხვა დონის გუნდში თამაშობს. მთავარია, რომ ბიჭები, როგორც მორაგბეები, საგრძნობლად გაიზარდნენ, პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

წლევანდელ „ევროპის ერთა თასი" მეორედ თამაშდება და თანაც 2003 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა. საქართველოს ნაკრებმა ტურნირი ზედიზედ ოთხი მოგებით დაიწყო. „ბორჯღალოსნებს" ერთი ნაბიჯიღა დარჩათ პირველი საერთაშორისო პრიზის მოგებამდე. 7 აპრილს ბუქარესტში რუმინელებს ვეთამაშებით. საქართველოს ნაკრებს დღეს ზურაბ მჭედლიშვილი კაპიტნობს. „პაპუთ", როგორც მას ახლობელ-მეგობრები მოიხსენიებენ, მომავალს იმედიანად უყურებს და არც მსოფლიო თასზე მოხვედრას მიიჩნევს შორეულ პერსპექტივად.

# უშიშართა კაპიტანი

## მე ვხედავ მსოფლიოს თასს

**— წინა წლებთან შედარებით, ამ ტურნირზე ისე თამაშობთ, თითქოს რაღაც ახალი რაგბი აღმოგეჩინოთ.**

— აქცენტი ხელით თამაშზე გავაკეთეთ. უწინ სხვა ტაქტიკით ვთამაშობდით: ძირითადად ბურთის აუტში გადატანით და იქ დერეფნის მოგების იმედად ვიყავით. მწვრთნელმა კლოდ სორელმა გვითხრა, ასეთი სტილი ძალიან მოძველდა და დროა, თანამედროვე რაგბი ვითამაშოთო.

**— რით ახსნი ჩვენით ნაკრების ბოლოდროინდელ პროგრესს?**

— უკვე სამი წელია, რაც ნაკრების ძირითადი ბირთვი საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს. ამან მორაგბეების კლასის ამაღლებას შეუწყო ხელი და თანაც გამოცდილება შეგვმატა. ადრე საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, შეთამაშება გვაკლდა, დრომ კი ეს ნაკლიც გამოასწორა. ბოლომდე მაინც არ ვართ შეთამაშებულნი, სეზონში სულ ხუთ მატჩს ვატარებთ, მეტის გაკეთება დღესდღეობით მიზეზთა გამო არ ხერხდება. იმედია, მომავალში უფრო მეტ შეხვედრებს გავმართავთ და მოედანზე უსიტყვოდ გავუგებთ ერთმანეთს.

**— რაშია საქართველოს ნაკრების სიძლიერე?**

— შერკინების ხაზი ტრადიციულად ძლიერი გვყავს. ბოლო დროს უკანა ხაზის მოთამაშეებმაც მოუმატეს, თანამედროვე რაგბის პრინციპების დაცვით თამაშობენ. გასათვალისწინებელია მწვრთნელის ფაქტორიც. სორელი მაღალი დონის სპეციალისტია.

**— ოთხიდან ოთხი მატჩი უკვე მოიგეთ და ისეთი გუნდები დაამარცხეთ, როგორიც რუსეთი და ესპანეთია...**

— ყოველ თამაშზე სავსებით მობილიზებული უნდა გახვიდე. არ აქვს მნიშვნელობა, ახალ ზელანდიას ეთამაშები თუ ჰოლანდიას. თუ ზერელედ მოეკიდე საქმეს, შეიძლება ისეთ გუნდთან დამარცხდე, როგორიც იგივე ჰოლანდიაა. მით უმეტეს, ამის თვალსაჩინო მაგალითი უკვე გვაქვს. ალბათ გახსოვთ, ექვსი წლის წინ კასტრიკუმში ჰოლანდიელებთან სამარცხვინოდ რომ წავაგეთ. მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ და დავისაჯეთ კიდეც. ყოველ მატჩს თავისი დატვირთვა და დაძაბულობა ახლავს. რომ ვთქვა, ძლიერ მეტოქესთან სათამაშოდ დაკომპლექსებულნი გავდივართ, არ ვიქნები მართალი. ჩვენ არც ერთი დონის გუნდის არ გვეშინია. უბრალოდ, ესპანეთთან და რუსეთთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა უფრო მეტი თავდაჯერებულობა შეგვმატა.

**— 7 აპრილს რუმინეთთან გადამწყვეტი მატჩი გელით. სწორედ იქ გაირკვევა წლევანდელი „ევროპის ერთა თასის" მფლობელი.**

— ძალიან დაძაბული და მძიმე მატჩი იქნება. ჩვენ სრული სერიოზულობით ვემზადებოდით, ისევე როგორც რუმინელები. ჯერ არცერთი დავმარცხებულვართ. შარშან თუ გადამწყვეტი მატჩი თბილისში იყო, წლეულს ბუქარესტშია. იმედია, თავს არ შევირცხვენთ.

**— გამარჯვების შანსი თუ გვაქვს?**

— გამარჯვების შანსი ყოველთვის არის. მთავარია, ის კომპონენტი გამოიყენო, რაშიც ძლიერი ხარ და მეტოქის სუსტი მხარეებით ისარგებლო. რუმინეთს დიდი გამოცდილება აქვს, ამასთან, არც ტრადიციების უქონლობას უჩივის, თანაც რამდენიმე საკმაოდ ძლიერი მორაგბე ჰყავს, მაგრამ, არა მგონია, რუმინეთი ისეთი გუნდი იყოს, მისი დამარცხება არ შეგვეძლოს. უბრალოდ, ეგ არის, რომ სტუმრად, ბუქარესტში გვიწევს თამაში. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია.

**— შარშან რატომ ვერ დაამარცხეთ რუმინელები?**

— მაშინ ძალიან ბევრი შეცდომები დავუშვით. ორჯერ ათი წუთით რიცხობრივ უმცირესობაში დავრჩით. რაგბიში კაცნაკლული თამაში, თუნდაც ათი წუთით, ბევრს ნიშნავს. სწორედ ამ პერიოდში გაგვიტანეს რუმინელებმა ორი ლელო. ვთვლი, რომ სწორედ ეს იყო ჩვენი მარცხის მიზეზი.

**— კარგი, მოდი, ამით სანაკრებო თემა ამოვწუროთ და შენს ფრანგულ კარიერაზე ვისაუბროთ.**

— ჩემი კლუბი „მიიო" „ნაციონალ 1"-ში ასპარეზობს. შარშან ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, „ელიტ 2"-ის საგზური რომ მოგვეპოვებინა. იმედია, მიმდინარე სეზონის ბოლოს მაინც შევძლებთ ერთი საფეხურით წინ წაწევას, თუმც ჩემი გეგმები „მიიოს" არ უკავშირდება. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე კლუბს გამოვიცვლი.

**— პრობლემები ხომ არ გაქვს?**

— არა, უბრალოდ, უფრო მაღალ დონეზე მინდა თამაში, მოწვევებიც მაქვს. წინასწარ არ მინდა, რამე განვაცხადო, მოვლენების განვითარებას დაველოდები.

**— „მიიოს" ხელმძღვანელობას თუ ელაპარაკე?**

— ველაპარაკე. ჩვენთან დარჩიო მეხვეწებიან. დიდი გეგმები გვაქვს და ნუ მიგვატოვებო. ყველაფერი სეზონის ბოლოს გადაწყდება, როდესაც მე და გუნდის ხელმძღვანელობა დავსხდებით და მოვილაპარაკებთ. თუ კარგ პირობებს შემომთავაზებენ, იქნებ განზრახვაზე ხელი ავიღო და „მიიოში" დავრჩე. ვნახოთ, რა იქნება.

**— შენი ოცნება რაგბიში...**

— მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე თამაში, რაც შორეული პერსპექტივა სულაც არ არის. თუ ჩვენ თვითონ არ გავუჭირვეთ ჩვენს თავს, ვფიქრობ, ავსტრალია-ახალ ზელანდიაში აუცილებლად გავემგზავრებით. ამით მეც და ნაკრების სხვა წევრებიც დიდი ხნის ოცნებას ავისრულებთ, მაგრამ თუ არ მოგვხედეს და მხარში არ ამოგვიდგნენ, მარტო ჩვენი ძალებით ღირებულს ვერაფერს მივაღწევთ.

**ბაჩო სვანიძე**



ზურაბ მჭედლიშვილი დერეფანში განსაკუთრებით ძლიერია

# ზოგჯერ ჭირიც მარგებელია

## თურქულმა შოტლანდია საქართველოსკენ გამოახედა

**ბრიტანეთში** რომ საქონლის ჭირი მძვინვარებს, ეს ახალი ამბავი არ არის. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ხსენებული ეპიდემია, რომელიც ჩვენში „თურქულით" არის ცნობილი, ფერმერთა ზარალს არ დასჯერდა და სპორტსაც დარია შავი ხელი. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მთავარი სარაგბო ტურნირის, ექვსი ერის ჩემპიონატის კალენდარი ხომ მთლად აირია.

„ექვსი ერის" მორიგი ტური 7 აპრილს უნდა გაიმართოს, მაგრამ აქედანვე ნათელია, რომ შოტლანდია — ირლანდიის დაპირისპირება 7 აპრილის ნაცვლად 12 მაისს გაიმართება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო კი ისაა, რომ შოტლანდიას და ირლანდიას კალენდარში ფანჯარა გამოუჩნდათ, რომლიდაც პირველმა... საქართველოც დაინახა.

ახლა თანმიმდევრობით...

ორივე გუნდის თავკაცებმა იფიქრეს, ამხელა პაუზამ არ მოგვადუნოს, ფორმიდან არ ამოგვაგდოსო და შუალედის ამხანაგური მატჩებით შევსება გადაწყვიტეს. ირლანდიელთა ხელმძღვანელობამ თავისი მზერა შორს, შავი კონტინენტისკენ მიმართა და სამხრეთ აფრიკის რაგბის მამებს მოურიგდა, მალე გეწვევით და ორჯერ გაგეჯიბრებითო.

ახლა შოტლანდიელთა გეგმებს არ იკითხავთ? რა აფრიკა, რის აფრიკა, კარგი გუნდები ევროპაშიც მოიძებნებაო, თქვა შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა იან მაკგიქანმა, სამი სასურველი კანდიდატიც შეიგულა და თავისი განზრახვა უმალ გაანდო მთელ დუნიას: „წინა ტურში იტალიასთან მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. თუმც ეს უკვე წარსულია და შოტლანდიელებს ახალი წარმატებების ხილვა სურთ. მომდევნო ტურში ირლანდიასთან უნდა გვეთამაშა, მაგრამ ეპიდემიის გამო შეხვედრა მთელი ერთი თვით გადაიდო. ვშიშობ, მანამდე ფორმიდან არ ამოვვარდეთ, ამიტომ ამხანაგური მატჩის ჩატარება გადავწყვიტეთ. ჯერჯერობით სამი კანდიდატი შევარჩიეთ — რუმინეთი, საქართველო და ესპანეთი. რომელს დავუპირისპირდებით, ჯერ არ მოგვიფიქრებია. მატჩის თარიღი სავარაუდოდ 28 აპრილი ან 5 მაისი იქნება. ისე, ჩვენთვის 5 მაისი უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან 28 აპრილს შოტლანდიის თასის ფინალური მატჩია და ნაკრების რამდენიმე მორაგბე თავის კლუბში იქნება დაკავებული."

როგორც ხედავთ, ჩვენი ბოლოდროინდელი წარმატებები არც შოტლანდიელებს გამორჩენიათ მხედველობიდან. საქართველოსთვის დიდი პატივი იქნება, ევროპის ერთ-ერთ გრანდს თუნდაც ამხანაგურად ეთამაშოს. ბორჯღალოსნებს აქამდე თითზე ჩამოსათვლელი მატჩები გაუმართავთ ჭეშმარიტად სარაგბო ქვეყნებთან. ორ-ორჯერ იტალიას და ტონგას, ერთხელ კი ირლანდიას გავეჯიბრეთ. მართალია, შედეგით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ ეს მთავარი არ არის. იტალიის მაგალითი ავიღოთ: აპენინელები ნელ-ნელა, ეტაპობრივად გაუშინაურდნენ ბობოლა გუნდებს, მერე კი „ექვსი ერის" ოჯახშიც შეაღწიეს.

გუშინ ვითარებაში უკეთ გასარკვევად დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ **ბიძინა გემიძეს**, რომელმაც ეს გვითხრა:

— ოფიციალურად ჯერ არავის მოუმართავს. ეს ამბავი ჩვენც საინფორმაციო არხების საშუალებით გავიგეთ. ვნახოთ, რა გამოვა. ისიც შევიტყვეთ, რომ ესპანელები ძალიან ცდილობენ, შოტლანდიას ეთამაშონ და უკვე დაფაცურდნენ საამისოდ. ჩვენც მოვიწადინებთ, რაც ჩვენს ძალებს აღემატება, იმასაც კი გავაკეთებთ, მაგრამ ყველაფერი შოტლანდიელებზეა დამოკიდებული. ისე, მინდა, ყველამ იცოდეს — ბრიტანელები რომც დავითანხმოთ, გორში, ან გნებავთ რუსთავში არ ვითამაშებთ.

**ბაჩო სვანიძე**




☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური

პროექტით აშენებული

რვაბინიანი სახლის

მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ²

პირველ სართულზე.

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ექიმი კარდიოლოგი

გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- ჯანმრთელობის ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის

განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# მერამდენედ შევარდენზე

## კალანდაძე ათენში თბილისმა მოარჩინა



ტიტე კალანდაძე ძველებურად თამაშობს

**ოთხთვიანი** საზამთრო ძილის შემდეგ განახლდა ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი. ბოლოსწინა, მესამე ტურში ბევრი რამ იყო საინტერესო და უინტერესოც.

თავიდან ნაკლებად სასიამოვნოზე: უინტერესო ის გახლავთ, რომ ქვეყნის ძველმა ჩემპიონმა და მიმდინარე გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ხუთივე მეტოქე უზარმაზარი უპირატესობით დაჯაბნა. „შევარდენის" ყველაზე მოკრძალებული მოგებები „მხოლოდ" 11-12 ბურთიანი სხვაობით გამოიხატა.

საინტერესო კი ალბათ ისაა, რომ ტექნიკოსებმა ყველა, თხუთმეტივე მატჩში გამარჯვებით ვადამდე ერთი ტურით, ანუ ხუთი თამაშით ადრე ზედიზედ მეთერთმეტედ განიალეს ჩემპიონის ტიტული. „შევარდენში" ორი ვეტერანი გამოჩნდა. ხუთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანზე კვლავ ვიხილეთ 1995 წლის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი ზვიად შათირიშვილი. ამდენ ხანს ტრავმული თუ სხვა პრობლემების გამო იგი ვარჯიშსაც ვერ ახერხებდა. ამჟამად კი ჩემპიონთა შემადგენლობაშია და თავისი გამოცდილებითა და საქმისადმი სერიოზული მიდგომით ახალგაზრდებს ჩინებულ მაგალითს აძლევს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტიტე კალანდაძის დაბრუნება. შარშან, იტალიის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის დროს, მხრის ტკივილმა ტიტე ისე შეაწუხა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ იქაურ ერთ-ერთ საუკეთესო ტრავმატოლოგს გაასინჯა, მან კი მაშინვე საოპერაციო მაგიდაზე დააწვინა. ქირურგოლმა ჩარევამ, სამწუხაროდ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო — ტკივილი არ შემსუბუქებულა. კალანდაძემ შემოდგომაზე ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ გოლების გატანას ვინ ჩივის, ხეირიანი პასის მიცემაც უჭირდა. ასეთ გაჭირვებაში მეგობმა შველა საბერძნეთში ჰპოვა. იანვარში, როცა ჩვენი ნაკრები ათენში სტუმრობდა, ტიტე ბერძენ ხელბურთელთა ექიმმა მიხეილ საფაროვმა გასინჯა. საფაროვი, თბილისში დაბადებული და ბოლო წლებში საბერძნეთში მცხოვრები კაცი, თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტია და ქართველი სპორტსმენი როგორც კი ნახა, მაშინვე უტყუარი დიაგნოზი დაუსვა — შინი ტრავმა ხერხემლის ბრალიაო. მართლაც, კისერთან ერთ-ერთი მალა ადგილზე ჩაუსვა თუ არა, ტკივილმაც გაუარა და ტიტეს წვალებაც ამით დასრულდა: ორიოდ დღეში გოლების გატანა გაიხსენა. მოკლედ, ის იტალიური ოპერაცია თურმე საჭირო არც ყოფილა. კალანდაძეს ეს სეზონი კი გაუცდა, მაგრამ უცხოური კლუბებიდან მიწვევები მაინც აქვს და სად გააგრძელებს კარიერას, ზაფხულში გაირკვევა.

ტურის ბოლო დღეს შედგა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულსა" და ბათუმის „მენავთობეს" შორის. საინტერესო შედეგის და არა შინაარსის მხრივ. საპრიზო ადგილების კანდიდატთა ულმობელო დავა მხოლოდ თამაშის დასკვნითმა წუთებმა გამოაცოცხლა. თითქმის მთელი მეორე ტაიმი ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმცა წინ სულ „მამული" იყო. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე აგრარელთა უპირატესობამ სამ ბურთს მიაღწია (30:27) და შეხვედრის ბედიც თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ბათუმელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ბოლო წამებზე ზუსტი ტყორცნით შეძლეს ქულის მოპოვება. „მენავთობისა" და მთელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ, 21 წლის ელნარ ქარცივაძემ 16-ჯერ გამოიჩინა თავი. სულ კი 175 გოლი დაუგროვდა და პრაქტიკულად განაღდა კიდეც პირველობა. მეორე ადგილზე მყოფი აკაკი ტალახაძე (ჭაბუკთა ნაკრები) მას 38 ბურთით ჩამორჩება.

**გია ახალაძე**

17 მარტი

სტუ-შევარდენი 32:20 საუ-მამული

მენავთობე 20:27 თბილისი

ასკ 26:31 ჭაბუკთა ნაკრები

18 მარტი

ჭაბუკთა ნაკრ. 27:27 მენავთობე

თბილისი 14:41 სტუ-შევარდენი

საუ-მამული 30:18 ასკ

19 მარტი

სტუ-შევარდენი 35:16 ჭაბუკთა ნაკრ.

საუ-მამული 24:25 თბილისი

ასკ 30:40 მენავთობე

20 მარტი

ჭაბუკთა ნაკრ. 29:33 საუ-მამული

მენავთობე 23:37 სტუ-შევარდენი

ასკ 17:29 თბილისი

21 მარტი

თბილისი 26:19 ჭაბუკთა ნაკრ.

მენავთობე 30:30 საუ-მამული

სტუ-შევარდენი 29:18 ასკ

ვითარება სამი ტურის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 15 | 15 | 0 | 0 | 624:397 | 45 |
| თბილისი | 15 | 9 | 1 | 5 | 429:438 | 28 |
| საუ-მამული | 15 | 8 | 2 | 5 | 447:439 | 26 |
| მენავთობე | 15 | 6 | 2 | 7 | 496:516 | 20 |
| ჭაბუკთა ნაკრ. | 15 | 2 | 1 | 12 | 425:523 | 7 |
| ასკ | 15 | 2 | 0 | 13 | 400:508 | 6 |



# პრივალოსანი

**მაიკ ტაისონზე** ჯერ თქვეს უახლოეს ბრძოლას ავსტრალიაში გამართავსო, შემდეგ კი ნათქვამი უარყვეს. ამრიგად 19 მაისს, ნიგერიელ დევიდ აიზონთან ჩხუბის ყველაზე სავარაუდო სარბიელად ვაშინგტონი რჩება.

ახლა, მოკლედ იმაზე, თუ რატომ ახსენეს ან რატომ უარყვეს ავსტრალია. ახსენეს იმიტომ, რომ ბიზნესმენების, კერი პეკერისა და რენე რივკინის ჩარევით, ავსტრალიის ბრძოლათა ორგანიზაციას კრივის სიდნეიში ან მელბურნში ჩასატარებლად ყველაფერი მოუმზადებია. აქ სიტყვა ყველაფერში უპირველესად, ალბათ, მაინც ფინანსური მხარე იგულისხმება, მაგრამ თურმე ფულით ყველაფერს მართლა ვერ იყიდი. რატომ? იმიტომ, რომ ხშირად ფულზე მაღლა მეგობრობა დგას — ამ საქმეში ტაისონის მეგობრის, ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის ჯეფ ფინეჩის ხელი არ ერია და...

ფინეჩის ციტატა ავსტრალიური „დეილი ტელეგრაფისთვის" მიცემული ინტერვიუდან:

„მაიკს ერთი კვირის წინ ველაპარაკე და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თავად ვაშინგტონში ურჩევნია ჩხუბის მოწყობა. თან, იცით, რა არის? მას ავსტრალიაში ბრძოლა რომ მონდომებოდა, უპირველეს ყოვლისა ჩემთან დარეკავდა".



🯅🯅🯅

**ზე-საშუალო** წონაში WBC-ს ჩემპიონს, ლეივი ჰილტონს, როგორც ჩანს, ქამარს ჩამოართმევენ. WBC-ს პრეზიდენტმა, ხოსე სულეიმანმა საბჭოს დირექტორატის წევრებს ამ საკითხზე კონფისური გამართვა სთხოვა. ჟურნალისტებმა ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება ჩაატარეს და ვარაუდობენ, რომ ხმის უფლების მქონე 37 ადამიანიდან ორი მეხამედი ჰილტონისთვის სამწუხარო გადაწყვეტილებას მიიღებს.

WBC-ს პრეს ატაშეს განცხადებით, საბჭო მოკრივესთან აბსოლუტურად პირნათელია, რადგან წარამარა აფრთხილებდა, თუ რამე არ შეცვალე ქამრის ჩამორთმევა გემუქრებაო.

და ბოლოს მიზეზი: ჰილტონი კრიმინალური და ამორალური ქცევისკენ მიდრეკილი კაცია. ასეთი ჩემპიონი კი კრივის სამყაროს არ ეპიტნავება.

🯅🯅🯅

**კლარენს ადამსი,** მეტსახელად „ბელები", WBA-ს ჩემპიონი გახლავთ ფეროწონლებულ სუპერ-ბუმბულის წონაში, ინგლისურად სუპერ-ბანტამი რომ ჰქვია. ჰოდა, „ბელებს" ტიტულის დაცვა მოწადინებია, რისთვისაც სარბიელიც შეურჩევია — „სპორტსენტერ არენა" ოვენსბოროში, კენტუკის შტატი — და მეტოქეც: რეიტინგით მესამე ხოსე ჩეო რიხასი.

ადამსის კარიერა 40 გამარჯვებას (19 ნოკაუტით), სამ ფრესა და სამ მარცხს მოიცავს. ის წარმოშობით სწორედ კენტუკიდან, კერძოდ კი ჰენდერსონად წოდებულ ქალაქიდან არის, თუმცა დღეს ლას ვეგასში ცხოვრობს.

„იქ კენტუკიში ჩემს მიმართ ყველა კარგად იყო განწყობილი და ამიტომაც მინდა ტიტული მათ წინაშე დავიცვა. იმედი მაქვს, ბრძოლის სანახავად მოვლენ" — თქვა „ბელებმა".

თავიდან ამბობდნენ, თითქოს ადამსის მოწინააღმდეგე იობერ ორტეგა უნდა ყოფილიყო, მერე თქვეს არა, ორტეგა კი არა, ანტონიო კერმენო ეჩხუბებაო, ბოლოს კი ხოსე ჩეო რიხასზე შეჩერდნენ.

„ამ ბიჭზე საერთოდ არაფერი მსმენია" — ამბობს ბუმბულით ბუმბულების ჩემპიონი — „თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ დიდი გამარჯვებისთვის ვემზადები".

🯅🯅🯅

**რაუ შეეხება** WBA-ს ჩემპიონს ველტერის (66,7 კგ) წონაში, ენდრიუ ლუისს, მეტსახელად „ექსპრესს", მას რინგზე 28 აგვისტოს ვიხილავთ ლარი მარქსის წინააღმდეგ. პრომოუტერმა ხულიოს კუშნერმა საქმე ისე გაკეთა, რომ ბრძოლას HBO გადასცემს, ხოლო სარბიელად ჰემერსტაინის „ბალრუმი" შეირჩა.

„ექსპრესმა" ტიტული 17 თებერვალს მოიპოვა, როდესაც ტექნიკური ნოკაუტით ქამრის ყოფილი მფლობელი ჯეიმს პეიჯი დაამარცხა.

ამ ბრძოლას ანდერქარდიც აქვს: ველტერის ტიტულის ყოფილი კანდიდატის, ანტონიო დიასის უმცროსი ძმა ხული, ჯასტო სენსიონს უნდა დაუდგეს. სენსიონს მეტსახელი „სენსაციური" ყოფილა.

🯅🯅🯅

**კოლუმბიელი** ხოსე გარსია, IBO-ს ჩემპიონია ისეთ წონაში, ქართულად ფარფატა ბუზის წონად რომ გადაითარგმნება, ინგლისურად კი ლაით ფლაი ჰქვია და 49 კილოგრამიან ბიჭებს მოიცავს. ახლახან მან ტიტული დაიცვა, მეტოქედ მოტლანდიელი კით ნოქსი ჰყავდა, თანაც მშობლიურ მოტლანდიაშივე გვემა — „ბელაჰუსტან სპორტს ცენტრში".

30 წლის გარსიამ 12 რაუნდიდან ერთშიც არ დაბადა ფეხი, ყველაში აშკარად აჯობა ნოქსს. მან მთელი ბრძოლა ჭკვიანურად წარმართა და საჭირო მომენტებში უკიდურესად ზუსტ, გამოთვლილ მუშტს უთავაზებდა-ხოლმე მეტოქეს. იყო მომენტები, როდესაც მარჯვენას მარცხენა მიაყოლა, მერე ისევ მარჯვენა ჰკრა და შედეგიანადაც კოქსმა აქა-იქ კონტროლი დაკარგა.

მაგრამ, მსაჯებმა ქულები როგორ დათვალეს არ გაინტერესებთ? ორმა ბუნებრივად აღიარა კოლუმბიელის გამარჯვება 117:113 და 116:113. აი, მესამემ, ამერიკელმა სტივ ვეისფელდმა საიდან მოიტანა, რომ 115:114 შოტლანდიელმა მოიგო, ბუნთა კრივის ისტორიაში, ალბათ, მარადიულ ამოცანად დარჩება.

🯅🯅🯅

**ძევ-მსუბუქ** წონაში WBC-სა და WBA-ს ჩემპიონმა, ავსტრალიელმა კოსტია ძიუმ პრომოუტერის, ვლად ვარტონის პირით ერთხელაც დაადასტურა, რომ IBF-ის ჩემპიონ ზაბ ჯუდასთან ბრძოლა ძალიან სურს.

„თუმცა, კოსტიას უახლოესი მოწინააღმდეგე ოქთაი ურქალი იქნება" — შემოთვალა ვარტონმა — „კოსტიას სურვილია მსოფლიოს უპირობო ჩემპიონი გახდეს. ასე, რომ ზაბს ამ ბრძოლის შემდეგ ველით".



მსოფლიოს თასი სწრაფ ჭადრაკში

# ნადირობა ჰუმანისტებზე

**სათაური** ჩვენ არ მოგვიფიქრებია, გარი კასპაროვისგან ვისესხეთ და თავისი ისტორია აქვს:

ლონდონის მსოფლიოს პირველობის ფინალი ვლადიმირ კრამნიკმა კასპაროვს იმიტომაც მოუგო, რომ უფრო ძლიერი შტაბი ჰყავდა. ახალ-ახალი საჭადრაკო იდეებით მას ამარაგებდნენ ესპანელი მიგელ ილესკასი, ფრანგი ჟოელ ლოტიე და, რაც მთავარია, რუსი ევგენი ბარეევი. ამ დიდოსტატების ღვაწლზე კრამნიკი ხშირად მიუთითებს, ხოლო ბარეევს ახალი ჩემპიონის გამოჩენის შემდეგ მასმედია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს. მრავალ ინტერვიუში, მათ შორის „კასპაროვის კლუბის" ჟურნალისტებთან, ბარეევს არაერთხელ უთქვამს, კრამნიკის გამარჯვება სანიშანსვეტო მოვლენა არისო. „კასპაროვის ერა გასრულდა", „ჭადრაკში ხელახლა ჰუმანისტური სტილი გამეფდა" და მისთანა გამონათქვამები ასევე ბარეევს ეკუთვნის და არ იქნება უსაფუძვლო, კასპაროვის ერთგვარ ბოღმაზე თუ ვილაპარაკებთ. ბოღმის გაქარვების საუკეთესო საშუალება ჭადრაკში დაფაა, სადაც კითხვათა მეტი წილის პასუხი მოიძებნება ხოლმე და აგერ ეს საშუალებაც — იმ დროს, როცა საჭადრაკო ელიტის ნაწილი მონაკოში ამბერის ტურნირზე შრომობს, სხვები რივიერაზევე კანში მოგროვდნენ და სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს თასს ეცილებიან ერთმანეთს. სულ ორ ჯგუფად გაყოფილი 16 მოჭადრაკე თამაშობს და მათგან დასახელების ღირსნი არიან კასპაროვი, ბარეევი, იუდით პოლგარი, ალექსანდრ გრიშჩუკი, პიოტრ სვიდლერი, მაიკლ ადამსი და ალექსანდრ მოროზევიჩი. იქვეა ლოტიეც და საფრანგეთის კიდევ სამი მოქალაქე ნორჩი ეტიენ ბაკროს ჩათვლით. რეგლამენტით ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო გადის და მეოთხედფინალიდან ოლიმპიური სისტემა ამოქმედდება. ყველაფერი 21-დან 25 მარტის ჩათვლით უნდა მოესწროს, ამიტომ გრაფიკი ფრიად გადატვირთულია, კაცზე დღეში 3-4 პარტია მოდის.

კონფისურით A ჯგუფში მოხვდნენ კასპაროვი, მისი გამბრაზებელი ბარეევი და ლოტიეც, ამიტომ მათ პარტიებს დამატებითი ინტრიგა შეემატა. კასპაროვმა შეძლო ჯავრის ამოყრა: პირველსავე ტურში ბარეევს მოუგო, იმას ლოტიე მიაყოლა, დაჯაბნა მასპინძელი კრისტიან ბაუერიც, გრიშჩუკს ქულა გაუყო და 3,5 ქულით ჯგუფში დაწინაურდა. თავისი ინტერნეტ-საიტის თანამშრომლებს კასპაროვმა განუცხადა, ჰუმანისტებზე ნადირობით დიდად ვისიამოვნეო, ხოლო B ჯგუფში არცთუ მოულოდნელად ბელგიიდან ჩამოსული მიხაილ გურევიჩი პირველობს. უკან არიან ადამსი და მოროზევიჩი, მაგრამ გურევიჩის წარმატება უფრო იმად არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლახან ფრანგულ კაპ დაგში ანალოგიური ფორმატის ტურნირი მოიგო.

ჯგუფურ ეტაპზე 3 ტური დარჩა.

**დავით გულუა**

ვითარება 4 ტურის შემდეგ

A ჯგუფში. 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) 3,5; 2-3. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ევგენი ბარეევი (რუსეთი) 2,5; 4-5. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) 2; 6-7. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი), ბორის გულკო (აშშ) 1,5; 8. კრისტიან ბაუერი (საფრანგეთი) 0,5.

B ჯგუფში. 1. მიხაილ გურევიჩი (ბელგია) 3; 2-4. რუსტამ კაზიმჯანოვი (უზბეკეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) 2,5; 5-6. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი) 2; 7. ჰიჩამ ჰამდუჩი (მაროკო) 1; 8. იანგჩუან იე (ჩინეთი) 0,5.




REUTERS ვანკუვერიდან

# სტამბოლში ბჭობენ

ᲙᲕᲚᲐᲕ სტამბოლშია ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელთა გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ხუთი ქალაქიდან ერთი უნდა აირჩიოს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლად. სტამბოლის სპორტულ შესაძლებლობათა პრეზენტაციაზე, საკითხის გამო საუბრობენ განთქმული მძლეოსანი სერგეი ბუბკა (მარცხნივ) და შემფასებელთა გუნდის თავმჯდომარე ჰეინ ვერბრიუგენი (მარჯვნივ). თურქებს დიდი გეგმები აქვთ: ეგებ სტამბოლმა მართლაც აჯობოს პარიზს, პეკინს, ოსაკასა და ტორონტოს.



REUTERS სტამბოლიდან

# პირველი და მეორე

ᲐᲘ, სიხარული და სევდა ვანკუვერის ყინულზე. იქ მიმდინარე ფიგურული ციგურაობის მსოფლიოს ჩემპიონატზე წყვილთა შეჯიბრი კანადელებმა, ჯეიმი სეილმა და დავიდ პალატიემ მოიგეს, რომლებიც სიხარულით კბეჩენ ოქროს მედლებს. მეორე ადგილზე დარჩენილი რუსები, ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე კი ცხადია, მოწყენილნი ჩანან.

# გოლფისთვის მოცლილნი



REUTERS სან პაულუდან

ᲡᲐᲜ ᲞᲐᲣᲚᲣᲨᲘ გოლფის თამაში გაჩაღებულა, ბრაზილიის თასის მეხუთე გათამაშებაა. რაღა თქმა უნდა, მოცლილად მყოფი განთქმული ბრაზილიელები იქ არიან. ამათ შორის კი, ცხადია, სუპერმოცლილი რონალდო, რომელიც კვლავაც ვერ ეხმარება მილანის „ინტერს". ბრაზილიის დიდი პრიზის წინ თავისუფალი დროის გამონახვა მეფორმულე რუბენს ბარიკელოსაც უფიქრია, ერთს გავინავარდებო და რონალდოს შეამხანაგებია.

# რიკი გზაზეა

ᲐᲘ, რიკ პიტინო კვლავ ხასიათზეა და კვლავ საქმეშია. სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელი ამ ცოტა ხნის წინათ ენბიეის ყველაზე დიდხელფასიანი მწვრთნელიც კი იყო, მაგრამ „ბოსტონ სელტიქსის" უფროსობამ დაითხოვა. თუმცა, ასეთ კაცს უსაქმოდ არავინ გააჩერებდა და რიკიც ნაცად გზას გაუყვა — ლუისვილის უნივერსიტეტის გუნდის მთავარი მწვრთნელი შეიქნა.



REUTERS ლუისვილიდან

# დამტვრეული

„ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠ ᲙᲔᲜᲐᲙᲡᲘᲡ" შვედი კაპიტანი მარკუს ნესლუნდი სეზონის ბოლომდე ხეიბარია. „ბუფალო სეიბრზთან" შეხვედრაში მან ფეხი მოიტეხა. მაგრამ ჰოკეისტობა იმგვარი რამ არის, რომ ავადმყოფობას ვერ წამოუწვები. ჰოდა, კაპიტანსაც უწევს პრესკონფერენციაზე მისვლა. მართალია, საგანგებო მოწყობილობით სიარული ფეხგაუქმებული კაცისთვის ნაკლებსასიამოვნოა, მაგრამ ასეა, როცა ჰოკეისტი ხარ.



REUTERS ვანკუვერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge